მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია/ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მანდატურის სამსახური, ექიმი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ტექ- პერსონალი,მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. მკაფიოდაა განსაზღვრული მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად აფორმებს ხელშეკრულებას სკოლაში მოქმედი სტრუქტურულ ერთეულებთან, დოკუმენტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ივსება. ერთი დოკუმენტი რჩება სკოლაში, მეორე კი გადაეცემა შესაბამის მხარეს. პერსონალის უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია კანონმდებლობით და სკოლა უზრუნველყოფს მათთვის პირობების შეთავაზებას. მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლოს წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერაა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა ხელს უწყობს პერსონალს მასზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკისრებული პასუხისმგებლობების სათანადოდ შესრულებას. მათ სკოლაში განსაზღვრული მოვალეობები ეცნობებათ სასწავლო წლის დასაწყისში.

**შესაბამისად, ,,სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული" ინდიკატორი 3.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ", სკოლის მიერ დამტკიცებული სტრუქტურულ ერთეულთა/პირთა დებულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით, თითოეულ თანამშრომელთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადებული ხელშეკრულებებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ თავიანთი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისაც რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლას სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს. ინტერვიუირების დროსაც გამოიკვეთა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული სკოლის მისიას ემსახურება. სტრუქტურული ერთეულები/პირები ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებენ სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და შეიმუშავებენ სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები შესაბამისობაშია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და სტრატეგიულ გეგმებთან, რაც დასტურდება როგორც სკოლაში არსებული დოკუმენტაციით, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი ფუნქცია და პასუხისმგებლობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას“ ინდიკატორი 3.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ისქულის ბაზის გადამოწმება
2. საშტატო ნუსხა
3. საათობრივი ბადე
4. შინაგანაწესი
5. აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობრივი ინსტრუქციები,
6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობრივი ინსტრუქციები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის მასწავლებლის თანამდებოვრივი ინსტრუქციები,
8. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის ბუღალტრის დანამდებობრივი ინსტრუქციები,
9. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის თნამდებობრივი ინსტრუქციები,
10. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საქმისმწარმოებლის თანამდებოვრივი ინსტრუქციები,
11. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 ბიბლიოთეკარის თანამდებოვრივი ინსტრუქციები,
12. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 დამრიგებლის თანამდებოვრივი ინსტრუქციები,
13. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 დამლაგებლის თანამდებოვრივი ინსტრუქციები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

14. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 დარაჯის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
15. აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქციები.
16. პედაგოგიური საბჭოს ,კათედრის და დამრიგებლის მუშაობის დებულება
17. გასაუბრების შედეგები

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება და გამომდინარეობს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობიდან: შრომის კოდექსი, საქართველოს კონსტიტუცია, კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით. გარდა ზოგადი კანონმდებლობისა, სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. სკოლამ წარმოაგინდა შინაგანაწესი, მასწავლებლებთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები და დებულებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დებულება აწესრიგებს მასწავლებლების შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის და მასწავლებლების საქმიანობას. სკოლაში არსებული ხარისხის მართვის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები აკვირდებიან საგაკვეთილო პროცესს, ხდება პედაგოგების პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა. პედაგოგები იღბენ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწალებელთა მიერ საგაკვეთილო პროცესში.

**შესაბამისად, ,,პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; “ ინდიკატორი 3.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, შინაგანაწესი, რომელიც ეფუძნება შესაბამის კანონმდებლობას. ექსტრემალური სიტუაციის დროს სკოლა იყენებს ინტერვეციულ და პრევენციულ მართვის პოლიტიკას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხოებას, ამიტომ სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, პანდემიის პირობებში მოქმედების წესი, საევაკუაციო გეგმები, სახანძრო სტენდი, უცხო პირთა რეგისტრაციის და კონტროლის მექანიზმს ახორციელებს მანდატურის სამსახური, თანამშრომლებისთვის ფუნქციონირებს სკოლაში გამოცხადებისა და სკოლიდან წასვლის სააღრიცხვო ჟურნალი. საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის მექანიზმი, რაც გულისხმობს მასწავლებლების საგაკვეთილო პროცესში ჩანაცვლებას. სკოლის პერსონალის თითოეული რგოლი საჭიროებებიდან გამომდინარე, ეფექტურად თანამშრომლობს ერთმანეთთან. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის განაწილებულია ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას. საგნობრივი კათედრების მუშაობა, ურთიერთთანამშრომლობა, ინტერვენციების შემუშავება და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფს სკოლის პროგრესს, რასაც ადასტურებს მოსწავლეთა მზარდი რაოდენობა. სკოლაში წარმატებით ხორციელდება პრობლემაზე ორიენტირებული თანამშრომლობა, რომელშიც თავისი უფლებამოსილებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ჩართულია ყველა რგოლი. მაგალითად , სკოლის ექიმის მიერ მომზადდა შეხვედრა საკოლო საზოგადოებასთასთან, რომელთაც პრეზენტაციის საშუალებით მიეწოდათ ინფორმაცია ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.2 ,,სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა" შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადდთან ერთად ვებგვერდზე teachersjobs.ge. აღნიშნულ ვებ გვერდზე გამოცხადებული ვაკანსია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: კომისიის შექმნის ბრძანება, ბრძანება კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლებს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვთ შემდეგი დოკუმენტაცია: CV; პირადობის მოწმობის ასლი; ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა ნარკოლოგიურის შესახებ. 2020 წლიდან დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეში **(გარდა ერთი თანამშრომლისა, რომელმაც მუშობა დაიწყო 2023 წლის 15 სექტემბრიდან)** დამატებით ინახება ცნობა სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით პედაგოგმა სკოლაში 06.10.2023 წ. პერიოდში წარადინა ცნობა სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და ცნობა უფლების ჩამორთმევის თობაზე(დოკუმენტები გადმოგზვანილია იხ.დანართი #1).

**აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.3 ,,პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით“ სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები. სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები. სკოლაში დასაქმებულ 2 პედაგოგს არ აქვს სტატუსი. პედაგოგებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“ ინდიკატორი 3.1.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

**5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვ. საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც. პედაგოგებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის პედაგოგები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრებებზე,ერთობლივად განხორციელებული პროექტებზე, ინტეგრირებულ გაკვეთილებზე და ა.შ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი. სკოლაში მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, კოლეგები მსჯელობენ, აქვთ აქტიური კომუნიკაცია, უსმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს, დისკუსიას წარმართავენ მეტი ეფექტურობისათვის, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას საგაკვეთილო პროცესების ბოლოს. ეს არის ზეპირი ხასიათის, თუმცა კათედრებზე განხილული ზეპირი უკუკავშირები აგებულია მხარდაჭერასა და შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესებაზე. გუნდური მუშაობით სკოლაში განხორციელდა კვირეული, ,,სკოლა ჩვენი სახლია“, რომელმაც მოსწავლე- მასწავლებლებთან ერთად გააერთიანა ბიბლიოთეკარი, საინტერესო საგაზეთო სტატიების გამოფენით, ექიმი-შეხვედრებით სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან საინტერეოსო ინტერაქციით,სპეცმასწავლებელი- საინტერესო პრეზენტაციით. თითოეულ სტრუქტურულ რგოლს აქვს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა სასკოლო საზოგადოებისადმი, რაც უზრუნველყოფს პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, განვითარების გზების დასახვასა და პროგრესისკენ სწრაფვას.

**შესაბამისად, „პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს“ ინდიკატორი 3.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. სკოლაში წარმატებით დანერგილია ლიდერი მასწავლებლების კულტურა დაწყებით საფეხურზე. ლიდერი მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ტრენინგებს, უზიარებენ კოლეგებს წარმატებულ პრაქტიკას. მაგალითად სკოლაში ჩაატარდა სასკოლო პრეზენტაცია ლიდერი მასწავლებლების მიერ, სადაც კოლეგებს გააცნეს სიახლეები, რომლებსაც გამოიყენებენ მუშობის პროცესში. სკოლაში დანერგილი და ტრადიციით განმტკიცებულია გუნდური მუშაობის პრაქტიკა - კოლეგები ერთად შეიმუშავებენ განსახორციელებელ აქტივობებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, „კრიტიკული მეგობრის“ ორიენტირების გათვალისწინებით აფასებენ ერთმანეთის აქტივობებს, იზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, აღნიშნავენ დადებით მხარეებს და ერთად სახავენ გაუმჯობესების გზებს. წარმატებების გაზიარებისათვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პერსონალის პირადი საქმეები
2. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შინაგანაწესი
4. კონკურსის გამოცხადების მასალები
5. პერსონალის დანიშვნის აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითრების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით სკოლის დირექციის წარმომადგენლები, კათედრის წევრები ინტენსიურად ესწრებიან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს გაკვეთილებზე. კათედრების შეხვედრებზე ხდება გაკვეთილების გაანალიზება და გამოვლენილ ხარვეზებზე მსჯელობა. კოლეგები ეხმარებიან ერთმანეთს გასაუმჯობესებელი მხარეების დახვეწაში, ეს იქნება კლასის მართვის, სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვისა თუ ინოვაციების გაზიარების თვალსაზრისით. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და ფოკუსირებული დაკვირვებით, კათედრის წევრები აღმოაჩენენ გასაუმჯობესებელ საკითხებს და გეგმავენ გადაჭრის გზებს. სკოლაში არსებობს ხარისხის მართვის ჯგუფი, ხარისხის მართვის ჯგუფი მოქმედებს დებულების მიხედვით. მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების პროცესში (გაკვეთილებზე დასწრება) ხელმძღვანელობს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შემდეგ ხდება პედაგოგების პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა. უკუკავშირის გათვალისწინება ხდება შემდგომ სამუშაო პროცესში. სკოლამ წარმოადგინა კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დასწრების ანგარიშები.

**შესაბამისად, ,,სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები“ ინდიკატორი 3.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის თანამშრომელთა პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. სკოლა მუდმივად ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, ეს იქნება ტრენინგები, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, შეფასება და ურთიერთშეფასება. საგნობრივ კათედრებზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მიმართულებები დგინდება საჭიროების მიხედვით. სკოლა მხარდაჭერის მიზნით, როგორც სკოლის ბაზაზე (კომპიუტერული ლაბორატორია, მეთოდური ლიტერატურა), ასევე შემოთავაზებული სერვისებით (ტრენინგები) უზრუნველყოფს მხარდაჭერას. თითოეული მასწავლებელი წლის განმავლობაში აუცილებლად გადის მასწავლებელთა სახლის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებს. ტრენინგებიდან მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას ფასილიტაციას უწევენ სამუშაო შეხვედრებზე. პროფესიული საჭიროებიდან თუ ინტერესიდან გამომდინარე. სკოლა ჩართულია USAID-ის მიერ ორგანიზებულ პროექტში დაწყებითი განათლების მიმართულებით და ლიდერი მასწავლებლები განათლების სფეროში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარე ინოვაციურ მიდგომებსა თუ წარმატებულ პრაქტიკას უზიარებენ კოლეგებს შეხვედრებსა და საგნობრივ კათედრებზე.

**შესაბამისად, ,,პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.2.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობა გაწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. უწყვეტად მიმდინარეობს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. სკოლამ წარმოადგინა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ამსახველი დოკუმენტაცია. მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები საგაკვეთილო დაკვირვებების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთავენ საჭიროებებს; მასწავლებლები საჭიროებებიდან გამომდინარე ესწრებიან სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგ კურსებს; თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან - განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს. პედაგოგები ესწრებიან ტრენინგებს, კონფერენციებს. სკოლაში არის კათედრათა შორის და კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და იყენებენ ,,კრიტიკული მეგობრის ფორმატი“ მეთოდს, რის საშუალებითაც ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლები ერთმანეთისგან მიღებულ უკუკავშირს იყენებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას.

**შესაბამისად, ,,სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას“ ინდიკატორი 3.2.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ინტერვიუდან დასტურდება, რომ ახალ თანამშრომელს სკოლის დირექციის წევრები აცნობენ შიდა ნორმებისა და რეგულაციებს. ახალი თანამშორემლი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს. საქმისმწარმოებელი მიაწოდებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციას. საქმისმწარმოებელს ევალება ახალი თანამშრომლისთვის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (მაგალითად, დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში) შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლის თითოეული თანამშრომლისთვის შეთავაზებულია შესაბამისი სამუშაო სივრცე და გარემო. მასწავლებლებს საშუალება აქვთ იმუშაონ საგნობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. ხელმისაწვდომია სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანამანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის გამოცდილი მასწავლებლები მუდმივად ეხმარებიან ახალ თანამშრომლებს კარიერულ წინსვლაში, წამყვანი მასწავლებლები უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას. კოლეგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ახალ კადრებს ადაპტაციის პროცესში. (აცნობენ ლიტერატურას, სქემატურ მაორგანიზებლებს, საჭირო ინფორმაციებისა და რესურსების პორტალებს), რათა გაუადვილონ ახალ გარემოში ,,ოჯახის წევრობა“. პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო ქმნის განვითარების ხელშემწყობ პირობებს, რაც საბოლოოდ, დადებითად აისახება როგორც თითოეული მასწავლებლის კარიერულ და პიროვნულ წინსვლაზე, ასევე სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით გეგმავს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობას „მოლოდინების ხე“, რომლის დროსაც, ახალი თანამშრომელი თავის მოლოდინებსა და შთაბეჭდილებებს განათავსებს მოლოდინების ხეზე.

**შესაბამისად, ,,სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან“ ინდიკატორი 3.2.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5.სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის თანამშრომლები პერსონალის საჭიროებს აფიქსირებენ ზეპირსიტყვიერად. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების მექანიზმი, სადაც გაწერილია წახალისების ფორმები. დირექცია იყენებს პედსაბჭოზე გამოთქმული სიტყვიერი მადლობა თუ ბრძანებით გამოხატული წახალისება.

**შესაბამისად, „წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები“ ინდიკატორი 3.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ამსახველი დოკუმენტაცია
2. ინტერვიუს შედეგები
3. მადლობის გამოცადების ბრძანება
4. გაკვეთილზე დაკვირვების/უკუკავშირთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესის მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,რომელიც განსაზღვრავს ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას. დოკუმენტში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 აგვისტოს #2-129 ბრძანებით.

**შესაბამისად, ,,სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.3.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. ინტერვიუირების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარმა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბუღალტერმა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 აგვისტოს #2-129 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის პოლიტიკა, სადაც აღწერილია მმართველობითი პროცესები. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, სადაც აღწერილია შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხიმგებლობა, მასწავლების/დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები. ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში და სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში.

**შესაბამისად, ,,იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები“ ინდიკატორი 3.3.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლაში სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ პირს შეუძლია გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებსაც საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე განიხილავს შესაბამისი ორგანო, მაგალითად, დისციპლინური გადაცდომების შესახებ საჩივრებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სამეურვეო საბჭოში არის შესაძლებელი, დანარჩენ შემთხვევებში საჩივარს განიხილავს დირექტორი. სასკოლო საზოგადოება თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებზე ძირითადად ინფორმირებულნი არიან დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სასკოლო სივრცეში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული შინაგანაწესი. საჯარო სკოლაში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომია. თითოეულ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია თანამშრომლების და მოსწავლეების დისციპლინური პასუხისმგებლობები და საჩივრის მიმართვის პროცედურა. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული გასაჩივრების დეტალური პროცედურები (2023 წლის 15 აგვისტოს 2-128 ბრძანება).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, ,,სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა“ ინდიკატორი 3.3.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**4.სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო** სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები: შინაგანაწესი, გასაჩივრების დეტალური პროცედურები. დოკუმენტებში განსაზღვრულია პერსონალის, მშობლების/კანონიერი წარმოამადგებლებისს უფლებების დაცვის მექანიზმები, მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. სკოლაში მუშაობს დისციპლინარული კომიტეტი. სკოლაში მუშაობს მანდატურის სამსახური. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიმზების შესრულებაზე პასუხისმგებელია სპეციალური პირი და სკოლის დირექცია.

**შესაბამისად, ,,სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“ ინდიკატორი 3.3.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.შინაგანაწესი

3.გასაჩივრების დეტალური პროცედურები (2023 წლის 15 აგვისტოს 2-128 ბრძანება).

4. ხარისხის პოლიტიკა (2023 წლის 14 აგვისტოს #2-129 ბრძანება)

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.**სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას აქვს მართვის პროცესებთან საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები, რაც მოიაზრებს სამუშაო შეხვედრებს, ფოკუს ჯგუფებს,“ ღია კარის“ დღეს, სადამრიგებლო რგოლის მიერ დაორგანიზებულ მშობელთა კრებებს, საინფორმაციო ბუკლეტებს. სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრთა თანაბარი ჩართულობა მმართვის პროცესში. ამისათვის სკოლაში შემუშვებულია ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვანი მექანიზმები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, მიეწოდებათ საზოგადოებას ინფორმაცია ვებგვერდის, სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლა ინფორმაციის მოსაწოდებლად იყენებს სოციალური ქსელების დახურული ჯგუფების, საინფორმაციო დაფისა და ბუკლეტებს. უკუკავშირის მიღება ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, გამოყენებულია როგორც სოციალურ ქსელს, ფოსტას. ასევე მატერიალური სახით კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მშობელთა ინფორმიებულობას წერილის სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, ,,სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები“ინდიკატორი 3.3.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო** სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დირექტორის ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე შექმნილი მასწავლებლის შიდა შეფასებისა და მისი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სადაც აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები.
აღნიშნული სტრუქტურურლი ერთეულების ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ ჩართულობას. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით. მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა“ ინდიკატორი 3.3.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ინტერვიუს შედეგები

2.სკოლის სოციალური ქსელი

3.სკოლის ფოიეში გამოკრული მასალები

4. სტრუქტურული ერთეულების სამუშაო პროცესის ამსახველი მასალები (ოქმები)

5.მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის წესი)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლას შემუშავებული და დამტკცებული აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი (2023 წლის 14 აგვისტოს #2-128) დოკუმენტში გაწერილია:ინფორმაციული დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, ადამიანების და პროცესების უსაფრთხოებოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლას ჰყავს ორი დარაჯი. სკოლამ წარმოადგინა დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური. სკოლაში დამონტაჟებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

23 ვიდეო-კამერა (6 გარე, 17 შიდა). სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნავს მანდატურის სამსახური. მანდატურის სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდება სკოლის პერიმეტრის დათვალიერება. სკოლის პერიმეტრის დათვალიერებაზე ასევე პასუხისმგებელია დარაჯი. წარმოდგენილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. დარაჯს ევალება შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლის ტერიტორია დაცულია უცხო პირთა გადაადგილებისგან. სკოლას დარეგულირებული აქვს უსაფრთხოებასთნ დაკავშირებული სკოლის ინფრასტრუქტურული თავისებურებების საკითხი: სკოლა მუდმივად აკონტროლებს მოსწავლეთა სკოლიდან გადინების პროცესს, სკოლის პერიმეტრზე არ შეიმჩნევა სამშენებლო ნაგვის/ნარჩენების და ნებისმიერი სხვა იმგვარი ნარჩენების საფრთხის შემცველი ობიექტების არსებობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას, სკოლას აქვს ღობე და შეუძლებელია სკოლის ტერიტორიაზე ავტომანქანების გადაადგილება, სკოლის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო გაყვანილობა არის დაცულ მდგომარეობაში. სკოლის ეზო და გარე პერიმეტრის მოწესრიგებულია. ინტერვიუდან დასტურდება რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს გარე პერიმეტრის მოწესრიგებაზე რათა თავიდან აიცილოს ისეთი საფრთხე, როგორიცაა ქვეწარმავალი ან სხვადასხვა ცხოველბის გადაადგილება.

ინტერვიუდან დასტურდება, რომ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელნი არიან მორიგე მასწავლებლები და დამრიგებლები. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023/2024 სასწავლო წლის მორიგეობის განრიგი. (განრიგი გამოკრული იყო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამასწავლებლოში და სკოლის ფოიეში). დამრიგებლები დასვენებაზე მუდმივად იმყოფებიან სადამრიგებლო კლასებთნ. სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი. დროულად ხდება არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. დამრიგებლები მოსწავლეთა სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში უკავშირდებიან მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს და დირექციას. სკოლა არ უშვებს მოსწავლის სკოლიდან გასვლას, უნებართვოდ/კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მისი საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე. დაწყებითი კლასის მოსწავლეების სკოლიდან გაშვება ხდება მას შემდეგ რაც გამოცხადება მშობელი სკოლაში. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობა. სკოლაში ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები. სკოლას შექმნილი აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რაც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. **<u>ვიზიტის პერიოდში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა არ იყო შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან.</u>** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ექიმის არსებობას სკოლაში. სკოლაში არის სამედინინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი. წარმოდგენილია სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება. თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სამინისტროს, ცხელი ხაზის, მანდატურის სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნომრები. კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება ზემოთ აღნიშნული ტელეფონის ნომრებზე/უწყებებზე ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს/მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. **<u>სკოლას</u>**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - დასკვნა არ არის წარმოდგენილი დამატებით დოკუმენტაციაში.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

სკოლას გამოყოფილი **არ ჰყავს** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. გეგმის მიხედვით ირკვევა, რომ სკოლამ მოიპოვა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და შეათანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის გაგეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან. (დოკუმენტები გადმოგზვანილია იხ.დანართი 2 , დანართი 3)

**რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.**

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას" ინდიკატორი 3.4.1.1 სრულად არის შესაბამისი.**

**2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა, მანდატურის სამსახური და სპეციალურად გამოყოფილი პირი აკონტროლებს შემოსულ პირებს. სკოლას აქვს სკოლის ტერიტორიაზე შემოსულ პირთა აღრიცხვიანობის სისტემა - შემოსული პირების გატარება ხდება შესაბამის ჟურნალში, სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილება ხდება საშვის მეშვეობით. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება. სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექცია, მორიგე მასწავლებლები, მანდატურის სამსახური. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირებისთვის წარუდგენს სკოლის დირექტორს.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას“ ინდიკატორი 3.4.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლას აქვს საშუალება მოსწავლეებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესთავაზოს ფსიქოლოგიური მომსახურეობა. მანდატურის სამსახურთან ერთად სკოლა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს რეფერირების გზით სთავაზობს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ მომსახურეობას. დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება, რომ სკოლაში ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. ტარდება საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება), ოჯახში ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; განხორციელებული კამპანიის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობის ამაღლებას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება და სკოლას ჰყავს ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს“ ინდიკატორი 3.4.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 14 აგვისტოს დამტკიცებული 2-128 ბრძანება ადამიანების და პროცესების უსაფრთხოების წესი, სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სკოლას ჰყავს სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას დამტკიცებული აქვს დამლაგებლის ინსტრუქციები. დირექციის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სასკოლო პირობების შემოწმება, დარღვევების გამოვლენა და მისი აღმოფხვრა. სკოლა ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით. დამლაგებლების მიერ ხდება სველი წერტილების, კიბის სახელურების სველი წესით დამუშავება. ფოიეები, საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების პირობებში, ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა). **სკოლის საერთო სივრცეში განთავსებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სადეზინფექციო ხსნარები ხელის დასამუშავებლად.** აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობით.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას" ინდიკატორი 3.4.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**5. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცების დაცვას. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია ზიარდება სოციალურ ქსელში საჯაროდ მხოლოდ მშობელთა ნებართვით. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა ნებართვის ფორმები. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმიმწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას, შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობლისათვის ხდება ელექტრო ჟურნალის საშუალებით. სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალური დაცვის მექანიზმები, რომელიც დაამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას“ ინდიკატორი 3.4.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**6. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსოლანული მონაცემების დამუშავების წესი (2023 წლის 14 აგვისტოს #2-126 ბრძანება) და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (2023 წლის 15 აგვისტოს #2-136 ბრძანება). დოკუმენტებში მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავების სტრატეგიები და სასკოლო საზოგადოების უფლებები პერსონალური ინფორმაციის თობაზე.

**შესაბამისად, „სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები" ინდიკატორი 3.4.1.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**7. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების ეფექტიანობას და მის ნიადაგზე ახდენს ახალი დამცავი მექანიზმების დამატებას. სკოლის უსაფრთხოების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება სკოლის დირექტორის, სამურვეო საბჭოს თავმჯდომარის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან. მრჩეველთა საბჭო აკვირდება სკოლაში მიმდინარე პროცესებს, იკრიბება სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ოთხჯერ, გეგმავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ აქტივობებს და მონიტორინგს უწევს აქტივობების განხორციელებას. ბოლო შეხვედრაზე იბარებს დირექტორის ანგარიშს სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. ყველა შეხვედრაზე დგება შესაბამისი ოქმი. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმის ელექტრონული ვერსია სხდომის ჩატარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრს, გარდა მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისა. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება (2022 წლის 15 სექტემბრის #2-96 ბრძანება) და ოქმები.

**შესაბამისად, „სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის“ ინდიკატორი 3.4.1.7 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი (2023 წლის 14 აგვისტოს #2-128)
2. მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ 2022 წლის 15 სექტემბრის #2-96 ბრძანება
3. მრჩეველთა საბჭოს 20.09.2023 წლის N1 ოქმი
4. ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქციები 2019 წლის 11 დეკემბრის #2-119 ბრძანება
5. რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ 2019 წლის 11 დეკემბრის #2-120 ბრძანება
6. პერსოლანული მონაცემების დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ 2023 წლსი 14 აგვისტოს #2-126 ბრძანება
7. ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ 2023 წლის 15 აგვისტოს #2-136 ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 228 მოსწავლეზე. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შენობა-ნაგებობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სქემა. შენობა არის 3 სართულიანი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სასკოლო ბუფეტი, სპორტ-დარბაზი, 12 საკლასო ოთახი და სველი წერტილები, დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, სკოლის კანცელარია, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, სამასწავლებლო, სკოლას ასევე აქვს რესურს ოთახი და ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლის შენობაში არის ლიფტი და პანდუსი. სკოლის გარე პერიმეტრი დათვალიერდა ვიზუალურად. სკოლას აქვს მოწესრიგებული ეზო. ეზო შეღობილია, ეზოს აქვს შემოსასვლელი ჭიშკარი. მატერიალური რესურსის მინიმალური ოდენობა შესაბამისია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისა. მიღება-ჩაბარების აქტებით და ვიზუალური დათველიერებით დასტურდება, რომ ყოველ მოსწავლეზე სკოლაში არის ინდივიდუალური მერხი და სკამი, მინიმუმ 1 დაფა ყოველ საკლასო ოთახში, კარადები და დამხმარე ინვენტარი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთვსებულია სასწავლო მიზნებისთვის 15 კომპიუტერი. ყველა კომპიუტერები მუშაობს და აქვს ინტერნეტთან წვდომა. სკოლას აქვს 4 პროექტორი და სამი ეკრანი. სკოლას არ აქვს სპორტ-დარბაზი, მაგრამ გამოყოფილია ოთახი რომელსაც იყენებენ ინვენტარის განსალაგებლად და სავარჯიშოდ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით" ინდიკატორი 3.5.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**2.სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის პედაგოგებთან/დირექციასთან ინტერვიუს, სკოლის ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ინფორმაციული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკის დებულება) დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის სკოლაში არსებობს რეკრიაციული სივრცე (დერეფნები, ეზო). სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე სკოლას აქვს სააქტო დარბაზი. სააქტო დარბაზს მოსწავლეები იყენებენ პრაქტიკული საქმიანობისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის" ინდიკატორი 3.5.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლას აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები ეგრეთწოდებული პანდუსი სკოლის შესასვლელში; სკოლას აქვს ლიფტი, რაც შესაძლებელს ხდის სართულებზე გადაადგილებას. სკოლას აქვს სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებული საპირფარეშო; სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

**შესაბამისად, „სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს" ინდიკატორი 3.5.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სასკოლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სადაც მოსწავლეებს/მასწავლებლებს საშუალება აქვთ განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები. სკოლას არ აქვს სპორტ დარბაზი, მაგრამ სკოლაში გამოყოფილია ოთახი, სადაც განთავსებულია სპორტული ინვენტარი. ოთახს იყენებენ სკოლაში სპორტული აქტივობების ჩასატარებლად. სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცეები, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ შეკრება. სკოლის ბიბლიოთეკარი ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის სივრცეში ეწყობა სოციალური, კულტურული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლამ წარმოადგინა სკოლის წლიური ანგარიში სკოლაში განხორციელებული ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ. პედაგოგები ადასტურებენ, რომ პროექტებსა და სასკოლო ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება. დამრიგებლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამებით, პროექტებით დასტურდება რომ ბიბლიოთეკარი ჩართულია მათ მიერ დაგეგმილ პროექტებში და აქტივობებში. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, რასაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, ღია სპორტული მოედანი და სააქტო დარბაზი. სკოლაში არის ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა. სკოლას აქვს დიდი დერეფანი , სადაც მოსწავლებს შეუძლიათ შეკრება. **შესაბამისად, „სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას" ინდიკატორი 3.5.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სკოლის ბიბლიოთკაში არის სასკოლო სახელმძღვანეოების მინიმუმ ერთი ეგზემპლარი. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. სკოლის ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა ჩანაწერები, რითიც დასტურდება მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბიბლიოთეკით სარგებლობა. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსი, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, რუკები, პლაკატები, ბიოლოგიის მულაჟები, ფიზიკის ხელსაწყოები, ქიმიური რეაქტივები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)“ ინდიკატორი 3.5.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.ვიზუალური დათვალიერება

2.მიღება-ჩაბარების აქტები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ვიზუალური დათვალიერებით და ბუღლტრის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით დასტურდება, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერები საკმარისია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის. ადმინისტრაციისა და დირექციის სამუშო ოთახებში განთავსებულია კომპიუტერები და პრინტერი. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. 1 პროექტორი განთავსებულია რესურსოთახში, 1 პროექტორი განთავსებულია კომპიუტეერულ ლაბორატორიაში. 1 პროექტორი განთავსებულია სააქტო დარბაზში. სკოლას აქვს „მოძრავი"



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტორი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ საგაკვეთილო პროცესში პროექტორს. მთელი შენობა დაფარულია უსადენო ინტერნეტით ( WI-FI).

**შესაბამისად, „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას“ ინდიკატორი 3.6.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც არის საზიარო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. მიღება-ჩაბარებებითა და კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა. სკოლას აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერულ ლაბორატორიით სარგებლობის წესი (19.09.2023 ბრძანება #2-155). ლაბორატორიით სარგებლობის წესი გამოკრულია ლაბორატორიაში. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში კომპიუტერებით, პროექტორის გამოყენებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგაკვეთილო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობები. მთელი შენობა დაფარულია უსადენო ინტერნეტით ( WI-FI ). პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება სასკოლო სივრცეში მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

**შესაბამისად, „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.6.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.კომპიუტერის მიღება-ჩაბარება

2.ვიზუალური დათვალიერება

3.ინტერვიუს მასალები

4. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი (19.09.2023 ბრძანება #2-155).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესის მიხედვით, როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი. სკოლამ წარმოადგინა საქმისმწარმოებელთან

გაფორმებული ხელშეკრულება, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისმწარმოებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლსი დირექტორის 2023 წლის 14 აგვისტოს #2-124 ბრძანებით. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულებით და სკოლის აქტებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას და კანონმდებლობის დაცვას. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა. ხდება შემოსული დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები, პერსონალის პირადი საქმეები. დოკუმენტაცია წარმოებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

**რჩევა:** ა)სასურველია ჟურნალები იყოს დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რათა მათი სანდოობა და მთლიანობა იყოს დაცული.

ბ)სასურველია დამრიგებლების შევსებულ იქნას მოსწავლეთა პირადი საქმეები სრულყოფილად (პირადი საქმის გვ.2)

**შესაბამისად, „სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;" ინდიკატორი 3.6.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (e-flow). ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsofr Outlook.

   **შესაბამისად, „სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა" ინდიკატორი 3.6.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სრულყოფილად კანონით დადგენილი ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილად არის ასახული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**შესაბამისად, „სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;“ ინდიკატორი 3.6.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო** სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს.
   **შესაბამისად, „სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.“ ინდიკატორი 3.6.2.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2023 წლის 14 აგვისტოს #2-124 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საქმისმწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულება
3. ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოებლის თანამდებობრივი ინსტრუქციები
4. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის სკოლის პროფილის დათვალიერება
5. ისქულის და იფლოუს დათვალიერება
6. რეგისტრაციის ჟურნალები/ბრძანებების წიგნების დათვალიერება

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ფეისბუქ გვერდის (სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ), ელექტრონული ჟურნალის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„თიმსის“ საგანმანათლებლო პლატფორმის, სოციალურ ქსელში მშობელთა ჯგუფების, სკოლის ფოიეში განთავსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. სკოლას ასევე აქვს https://skolebi.emis.ge/ ზე ვებ გვერდი. სკოლას აქვს სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს დამტკიცებული #2-137 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი. დოკუმენტში გაწერილია სკოლის უფლებები და ვალდებულებები. სკოლა ვალდებულია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები. ვებ.გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები,სკოლის სტრუქტურა, სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა და 1 წლიანი განვითარების გეგმები. სკოლის სოციალურ ქსელში სკოლა მუდმივად ათავსებს მიმდინარე სიახლეების, აქტივობების, პროექტების, სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციას.

**შესაბამისად „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“ ინდიკატორი 3.6.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის პედაგოგებთან/დირექციასთან/ადმინისტრაციასთან** ინტერვიუს შედეგად და სკოლის სოციალური ქსელის

დათვალიერებით დასტურდება, რომ დირექცია/პედაგოგები უზრუნველყოფენ სკოლაში მიმდინარე აქტივობებისა და საქმიანობის, მათ შორის სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციას ავრცელებენ; დაწესებულება არ ავრცელებს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

**შესაბამისად „სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;“ ინდიკატორი 3.6.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის დირექცია/პედაგოგები უკუკავშირს იღებენ მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლატფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. შემოსულ ინფორმაციაზე საჩროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რჩევა:** სასურველია ვებ გვერდზე/სოციალურ ქსელში განათავსოთ გამოკითხვის ფორმები, რაც მისცემს დაინტერსებულ პირებს კომენტარის დაფიქსირებისა თუ წერილის მიწერის საშუალებას.

**შესაბამისად „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“ ინდიკატორი 3.6.3.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი. სკოლის ვებ გვერდზე არის შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

**შესაბამისად „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“ ინდიკატორი 3.6.3.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდი. ვებ. გვერდძე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია. ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოაქვეყნებს სასწავლო წლის ბოლოს.

**შესაბამისად „ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.“ ინდიკატორი 3.6.3.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის სოციალური ქსელი - Facebook
2. სკოლის ვებ გვერი სკოლების პორტალი - სკოლის დეტალები (emis.ge)
3. 2023 წლის 15 აგვისტოს დამტკიცებული #2-137 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლა ფინანსურად მდგრადია და აქვს შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს სკოლის საჭიროებები. აღჭურვოს იმ რესურსით, რაც აუცილებელია სკოლის განვითარებისა და დასახული მიზნების მისაღწევად. წარმოდენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები. სკოლამ წარმოადგინა ელექტრო ენერგიის, წყლის, გაზის გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები.

**შესაბამისად, „სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება“ ინდიკატორი 3.7.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.**სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ) სისტემა. სკოლაში თანხების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეორვეო საბჭოს. სკოლისათვის საჭირო შესყიდვები ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთბს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან. სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, სასკოლო საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბურალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს. დირექტორი სკოლის ფულადი სახსრების რაციონალურად განკარგვისთვის წინასწარ ადგენს ფინანსურ გეგმას, სამეურვეო საბჭო ითანხმებს ამ გეგმას და თვალყურს ადევნებს მის განკარგვას. შესყიდვების გეგმა შედგენილია ნოემბრის თვეში, ბაზრის კვლევის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია კორექტირების შესაძლებლობა, რომელიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან საჭიროების შემთხვევაში.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა“ ინდიკატორი 3.7.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

2.საპროგნოზო ბიუჯეტი

3.ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

4.ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, ბრძანება მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება (2023 წლის 14 აგვისტოს ბრძანება #2-123); გასაჩივრების დეტალური პროცედურები (2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანება #2-138); მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი (2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანება #2-135), მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭრი მექანიზმი (2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანება #2-139). სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო; დისციპლინური კომიტეტი; თვითმმართველობა, მანდატურის სამსახური; სკოლას ჰყავს ექიმი; თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებლებმა წარმოადგინეს სადამრიგებლო პროგრამა. სკოლაში დამრიგებლები ატარებენ სადამრიგებლო საათს და ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითრებაზე. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (სასკოლო კურიკულუმები), სსსმ მოსწავლეთა უფლებები დაცულია. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ შექმნის ბრძანებები, ბრძანება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინკლუზიური კულტურის დანერგვასა და განვითარებას, ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლაში ტარდება საინფორმაციო სახის პრეზენტაციები შეზღუდულ შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ, მაგალითად დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით: „ქრომოსომებს არ ითვლიან". სკოლაში დაცულია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება,მათი შეგროვება და გამოყენება ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. კლასის ხელმძღვანელები საჭიროების შემთხვევაში სოციალურ ქსელში მოსწავლეთა ფოტოების გამოქვეყნების დროს იღებენ თანხმობას მშობლებისგან. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა: კერძოდ, სასკოლო კრებებზე არ ხდება კონკრეტული მოსწავლის საკითხის საჯარო განხილვა. სკოლაში მოქმედებს ელექტრონული ჟურნალი და მშობელს შეუძლია შეიტყოს მხოლოდ თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და პედაგოგებთან, სპეციალურ პედაგოგთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება, დისკრიმინაციისგან დაცვა, მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლის მართვაში, აქვთ გასაჩივრების უფლება, აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. მოსწავლეებისთვის ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღება არის უზრუნველყოფილი. ეს დასტურდება სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში, რომელშიც მკაფიოდ არის გამოკვეთილი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულობა, სიღრმისეულ სწავლაზე აქცენტირება და ინკლუზიური განათლების პრინციპები. სსსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლის ისგ გუნდი შეიმუშავებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმებს და სთავაზობს თითოეულ სსსმ მოსწავლეს საჭირო საგანმანათლებლო მომსახურებას (სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი). სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმა.

**შესაბამისად, „სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;“ ინდიკატორი 4.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ სასკოლო სივრცეში (საინფორმაციო დაფა). სასწავლო წლის დასაწყისში, დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე ხდება აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამრიგებლები კლასის საათის დროს სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში აწვდიან ინფორმაციას მოსწავლებს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ.

**შესაბამისად, „მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან“ ინდიკატორი 4.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. ხელშეკრულებები შაბლონური ხასიათისაა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**რჩევა:** სასურველია საჭიროების შემთხვევაში მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებულ ხელშეკრულებაში ინდივიდუალური ცვლილებები განხორციელდეს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებისა და კანონიერი უფლებების გათვალისწინებით.

**შესაბამისად, ,,მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება." ინდიკატორი 4.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. შინაგანაწესი
2. ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ
3. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესი (2022 წლის 12 ოქტომბრის 2-109 ბრძანება)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
5. ბრძანება მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დებულება (2023 წლის 14 აგვისტოს ბრძანება #2-123)
6. გასაჩივრების დეტალური პროცედურები (2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანება #2-138)
7. მოსწავლის გარემოსთნ ადაპტაციის მექანიზმი (2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანება #2-135)
8. მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი (2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანება #2-139)

**1.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის“, რომელიც არის სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (2023 წლის 14 აგვისტოს ბრძანება 2-127 ). სკოლამ ასევე წარმოდგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერებისა ბრძანებები. მოსწავლის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად, ხოლო მოსწავლის მობილობა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესი“ შესაბამისად. სკოლა დროულად ახდენს მშობლის ინფორმირებას მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შესახებ. მოსწავლეს სტატუსის შეჩერებამდე კლასის დამრიგებლები მიმართავენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 10-20 დღის გაცდენის შემდეგ, არკვევენ გაცდენის მიზეზს და წარმოადგენენ დირექციაში. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერებამდე დამრიგებლები. ინფორმაციას აწვდიან მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს გაცდენილი საათების რაოდენობისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ წერილობით. მშობლის განცხადების საფუძველზე ,(იმ შემთხვევაში,როდესაც მშობელი ითხოვს მოსწავლისათვის სსსმ სტატუსის მინიჭებას), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგზავნება მშობლისა და სკოლის მიმართვის ფორმებს,მულტიდისციპლინური გუნდი ადგენს

მოსწავლის საჭიროებას, მოსწავლის შეფასების შემდეგ ბრძანებით იქმნება თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელ გუნდს, რომელიც ადგენს მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. გეგმიდან გამომდინარე ხორციელდება შეფასებები,რაც უზრუნველყოფს ,რომ მოსწავლემ დაძლიოს საფეხური

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისთვის და თავად მოსწავლეებისთვის.

**შესაბამისად, „სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები“ ინდიკატორი 4.1.2.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** სკოლას აქვს შემუშავებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს და ახორციელებს კანონმდებლობის დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს, მობილობობა ხორციელდება კანონდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საფეხურის დაძლევის, მოსწავლეთა შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში შესაბამისი ვადების გათვალისწინებით. საფეხურის დამთავრების,ექსტერნების გამოცდების,პირველ კლასში მოსწავლეთა მიღებისა და მობილობის წესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საფეხურის დამთავრებისთანავე იკრიბება პედაგოგიური საბჭო. სხომაზე განიხილება მოსწავლეთა საბოლოოო აკადემიური მოსწრების შესახებ, რაც აისახება პედსაბჭოს ოქმში, რის საფუძველზეც საფეხურის დაძლევის შესახებ გამოსცემს ბრანებას დირექტორი. სკოლაში საინფორმაციო დაფაზე არის განთავსებული პირველ კლასში მოსწავლის მიღების წესები,ინფორმირებული არიან მშობლები და მოსწავლეები მობილობის შესაძლო თარიღების შესახებ,რომელიც ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლის მობილობა ხდება მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე და სკოლა ახორციელებს კანონით დადგენილ პროცედურებს. სკოლაში არის ექსტერნატის გამოცდის ჩატარების გამოცდილება და ვიცავთ მასთან დაკავშირებულ ყველა წესსა და რეგულაციას.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის გაკრული თვალსაჩინო ადგილზე. სკოლაში არსებობს ელ.ჟურნალი , რომლითაც მშობელი იღებს ინფორმაციას.

**შესაბამისად, „სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს“ ინდიკატორი 4.1.2.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3.სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს და მოსწავლეებს წარუდგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია საგნობრივი გამოცდების, პირველ კლასში მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასებში განაწილების შესახებ. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ უცხოურ ენას (გერმანული და რუსული). არაფორმალური მომსახურების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მუშაობას. ამჟამად სკოლაში ფუნქციონირებს ისტორიის კლუბი „დიდგორი“, ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი „ჩვენ გვიყვარს ლიტერატურა“, მათემატიკის კლუბი „მე მიყვარს მათემატიკა“. კლუბებს აქვს დებულება, პროგრამა , რომლის ფარგლებში არის გაწერილი მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ. სკოლა თანამშრომლობს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან, ყოველწლიურად მე-8, მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეობის მონაწილეობით ყალიბდება გუნდები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ რეგიონულ და რესპუბლიკურ დებატების ტურნირებში. არსებული მომსახერების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლის სოც.ქსელის საშუალებით, მესენჯერ ჩათებით.

**შესაბამისად, „სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი“ ინდიკატორი 4.1.2.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4.სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1** საჯარო სკოლის პედაგოგებთან/დამრიგებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაციას მოსწავლეებს აწვდიან კლასის დამრიგებლები, გამოქვეყნებულია სკოლის სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში მიმდინარე პროგრამებში, სერვისებში, აქტივობებში მონაწილეობის საშუალება აქვს ყველა მოსწავლეს მათი სურვილის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რუბრიკები შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თუმცა, იმისთვის , რომ შეფასების რუბრიკებში სრულად იყოს გათვალისწინებული ე.ს.გ. მოთხოვნები, სასურველია რუბრიკების შექმნა სახდასხვა სასწავლო თემების მიხედვითაც.

**მიეცა რჩევა,** რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დააზუსტონ და დაუკავშირონ კონკრეტულ სასწავლო საკითხებს.

**2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - შესაბამისია.**

5. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. სკოლაში პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სასკოლო კურიკულუმი აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპით და ითვალისწინებს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების, კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა/ანალიზი, რის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება კურიკულუმის შემუშავების წინარე გამოცდილება და მისი გათვალისწინება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოს შექმნისას. ინტერვიურების პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ახალი ჩარჩო უფრო მკაფიოა და მარტივია მასში ორიენტირება, როცა გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კათედრას აქვს თემატური გეგმების შევსების გამოცდილებაც და შეძლებენ ყველა განხორციელებული კომპლექსური დავალების შემდეგ, შეავსონ თემატური მატრიცა, სადაც ასახავენ სრულ მოცემულობას შესასწავლ თემასთან მიმართებით.

**2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები,
2. სასკოლო სასწავლო გეგმა,
3. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი,
4. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

### 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომ სკოლაში განხორციელებული სასწავლო ფორმალური და არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას. სკოლის მიზანია, მოსწავლე ჩამოაყალიბოს თავისუფალ, მოაზროვნე, შემოქმედებით ინდივიდად, შესძინოს ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ინტერვიურების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გარდა კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტების და შეფასების რუბრიკების შექმნისა, აქტიურად თანამშრომლობენ და გეგმავენ საგნობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებს, რაც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს. სკოლაში ვიზიტზე მყოფ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ადგილზევე ენახათ კათედრების მიერ შესრულებული პროექტები, რომელიც მოცემული იყო გამოფენის სახით.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. გასაუბრების დროს პედაგოგებმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნეს, რომ მათ განახორციელეს პროექტი სახელწოდებით „მე ვკითხულობ, შენ?“ სადაც აქტიურად ჩაერთვნენ მოსწავლეები. მათ სასკოლო სივრცეში სასკოლო საზოგადოებას გააცნეს საკუთარი რჩეული წიგნები. სასკოლო აქტივობებში ჩართულობა კი მოსწავლეების შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განაპირობებს.

კურიკულუმებში შეტანილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, პრაქტიკული მიმართულებით დაგეგმილი ფესტივალები და თეორიული მიმართულებით დაგეგმილი მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროექტები , სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, კოლეგები ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად.

კურიკულუმებში გაწერილი მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებით უნარების განვითარებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში, სასკოლო წრეებში. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტივაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შესასწავლ თემებში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტი. ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებები დაეფუძნება მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს , რაც მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა, გამოხატოს მის მიმართ პირადი დამოკიდებულება, ეს ყველაფერი მას დაეხმარება თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულად ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისაკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად. აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც კომპლექსური დავალებებით სწავლების პრინციპების დანერგვა განიზრახეს სასწავლო პროცესებში, ვინაიდან თავად ამ ტიპის დავალებები გულისხმობს ცოდნის აგების პრინციპების გააქტიურებას.

წარმოდგენილი კურიკულუმები თავისი თემატური კონტექსტით ეხმარება მოსწავლეებს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია კომპლექსური ბუნების დავალებები , რომლებშიც მოსწავლეებს უწევთ ნაცნობი კონტექსტის გამოყენებით გადაჭრას პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას პროდუქტი. სასწავლო პროცესში წახალისებულია პროექტების ინიცირება, ღონისძიებები, თანამშრომლობითი აქტივობები, რის საუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენოს კონსტრუქტივიზმის პრინციპები.

**2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. საგნების კურიკულუმში მოცემული შესასწავლ მასალაში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოცემული მასალა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს წამოჭრას პრობლემა, ეძიოს გადაჭრის გზები და წარმოადგინოს ისეთი პროდუქტი, რომელიც მას ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს. . კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. სკოლაში განხორციელებულია პროექტები , რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებაზე და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს , მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში, საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეების იყენებენ თვითშეფასების და ურთიერშეფასების რუბრიკებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები და პირისპირ ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და ისეთ აქტივობებზე, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს დაკვირვებას, ვარაუდის გამოთქმას, დასკვნის გაკეთებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და მისი გადაჭრის გზებს. ამ პროცესში მოსწავლე არის შემოქმედი საკუთარი სასწავლო პროცესის და თავადაც გეგმავს აქტივობებს.

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია**

4. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსური დავალებების პირობებში, ურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები, კომპლექსური დავალების განხორციელება კი თავის მხრივ მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისაკენ. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში

შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

მასალების შესწავლისა და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების , პროექტული სწავლების გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების და აქტივობების განხორციელების გამოცდილება, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედერული, პირობისეული) - შესაბამისია**

5. თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლის პედაგოგები მრავალფეროვან ხერხებს მიმართავენ მოსწავლეებში შესწავლის, დამახსოვრების და სხვა უნარების განვითარებისათვის. იცნობენ რა, სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, სკაფოლდინგის მეთოდით აშენებენ ახალ ცოდნას. მოსწავლემ იცის, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია და შესასწავლი საგნის არსს ხედავს მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულების და წარდგენის პროცესში. მოსწავლეს შეუძლია პარალელის გავლება სხვა საგნებთან, რასაც ხელს უწყობს მუსიკის და ხელოვნების, ასევე სხვა საგნებთან ინტეგრირებული გაკვეთილები. პედაგოგები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, რაც გამოიხატება ვერბალურ და წერით დავალებებში.

წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური ბუნების დავალებები განხორციელებული პროექტები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდაკავშირებას. მოსწავლეებს მასალა მიეწოდება ეტაპობრივად, შინაარსობრივი თანმიმდევრობით, ყოველი მომდევნო ნაწილი მასალის ორგანულ კავშირშია წინასთან, რაც განაპირობებს ცოდნის სწორ ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როცა სწავლა-სწავლების პროცესი უნდა აიგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს. ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

კურიკულუმზე და კომპლექსური დავალებების დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობენ მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. მოსწავლეები კომპლექსური დავალების ფარგლებში ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ უნარის, ცოდნის გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთ დაკავშირება - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. თვითშეფასების კითხვარი
2. საგნობრივი კურიკულუმები კურიკულუმები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. თემატური მატრიცები
5. კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. წარმოდგენილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, პირისირ ინტერვიუს დროს მასწავლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხს, დაისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

საგნობრივ კურიკულუმში  მოცემულ სავალდებულო თემებში, საკითხთი/საკითხებით მუშავდება სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. შემუშავებული  კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარიმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების  ხელშესაწყობად.

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც ასევე დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, , რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია**

2. მოცემული სავალდებულო თემები, თემებში ჩაშლილი საკითები და კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მრავალფეროვანი ვიდეო-აუდიო მასალის, ცხრილების, სქემების და სხვა ტიპის დავალებების მოსმენას, შესრულებას და პრეზენტირებას, რაც მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების, სხვადასხვა საჭირო პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ უნარებს.

კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი სკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო სოციალურ განვითარებისკენ. საგნის კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლეებმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. პროექტებში ჩართულ მოსწავლეებს უვითარდებათ თანაგანცდის, ემპათიის გრძნობა,რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათები, რომელშიც შერჩეულია ისეთი თემატიკა, რაც აქტუალურია მათი ასაკისთვის და ცნობიერებისთვის.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსოქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად მისი თითოეული აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი , არამედ სოციოემოციური სფეროს განვითარებაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პირისპირ გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. სკოლაა აქვს მზაობა შექმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი მოდელი, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლეთა მიღწევის დონეების შეფასების მიზნით, მასწავლებლები წლის განმავლობაში ორჯერ ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებებს. სწავლა-სწავლების პროცესში სამომავლოდ (დიფერენცირებული მიდგომების დახვეწის თვლსაზრისით) სკოლა განახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. თითოეული მათგანი არის ავთენტური ბუნებისა, ანუ შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, რათა მათ განივითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების შემდეგ ინსტრუმენტებს: 3-2-1, ერთწუთიანი ესე, სიტყვების დახარისხება, გასასვლელი ბარათები, ერთწინადადებიანი შეჯამება , მოთხრობის დაწერა. მასწავლებლებს აქვთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა და ამჟამადაც აქტიურად იყენებენ მათ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომავალი სასწავლი წლიდან სკოლა მეტად ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კომპლექსურ დავალებებში იქნება ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს თავად იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მათი მიღწევის დონეების შეფასების მიზნით, მასწავლებლები წლის განმავლობაში ორჯერ ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებებს.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის და აკადემიური მიღწევების ანალიზი ინსტრუმენტები, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში .ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე.

**2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - შესაბამისია**

4. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. შეფასების სისტემაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები, მოსწავლეებმა იციან,თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. ისინი თავად ერთვებიან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების დიზაინის შემუშავებაში. მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გაწერილია თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, აღინიშნა, რომ მომზადდა კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებიც კომპლექსური დავალების კრიტერიუმების შესაბამისად გაიწერა და რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში,

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური , გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისი**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. ,,სკოლაში არის ხარისხის განვითარების ჯგუფი. პედსაბჭოზე, კათედრებზე ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და განიხილება მოსწავლის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. ხდება ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესს. სამომავლოდ სკოლაში შეიქმნება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - რომელშიც გაიწერება შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა , შედეგები და აისახება სამოქმედო გეგმაში'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქმნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტებით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან შესაბამის უკუკავშირს. ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი, კერძოდ, კომპლექსური დავალების ანალიზი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი აქვთ მოსწავლეთაა აკადემიური მიღწევების შეფასების წესები.

**2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისია**

6.ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციების დაცვას. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს შეფასების სისტემა, რომელშიც განსაზღვრული იქნება კურიკულუმების, მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიუს მიხედვით , სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლის, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები
3. მასწავლებლებთან ინტერვიუები
4. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
5. შემაჯამებლების ანალიზი
6. ვერიფიკაციის მექანიზმი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თანამშრომლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, ინტერვიუში იკვეთება მასწავლებელთა გუნდური მიდგომა გამოწვევებისადმი, გააჟღერეს რომ მოსწავლეების მოსაზრება და ინიციატივები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც, კერძოდ, თემები, კონტექსტმაგალითები, კომპლექსური დავალებები, რესურსები - შერჩეულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში არსებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. იგეგმება და ხორციელდება ინტეგრირებული აქტივობები, რაც კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე მიანიშნებს. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს ჯამდება განვლილი სასწავლო წლის შედეგები სასკოლო საზოგადოების წინაშე, რაც პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობისკენაა მიმართული. სკოლას აქვს მზაობა ამ კუთხით განავითაროს არსებული მიდგომები სამომავლოდ.

თვითშფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობასთან პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა. მასწავლებლები კათედრებზე ესწრებიან გაკვეთილებს და პოზიტიურ უკუკავშირს უბრუნებენ კოლეგებს. სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, რომელიც საჭიროებს დახვეწას და მეტი ინტენსივობით ამოქმედებას. სკოლა ახორციელებს ახლომდებარე ტერიტორიაზე ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ.

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სკოლის მისია, სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა , საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები, დირექტორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მოსწავლეები თავიანთი ინტერესების, სურვილების და უნარების შესაბამისად გაერთიანებული არიან არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბურ თუ საწრეო მუშაობაში.

**2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო შესაბამისია.**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მასზე დაყრდნობით თვითშეფასების კითხვარში აღწერს მოსწავლეთა წარმატებისათვის ხელშემწყობ ქმედით ნაბიჯებს. ფორმალური და არაფორმალური ღონისძიებები, ოლიმპიადები, კონკურსები, კონფერენციები, დიაგნოსტიკური წერები და მათზე მიცემული განმავითარებელი უკუკავშირი საშუალებას იძლევა მიეცეთ მოსწავლეებს პროგრესის, წინსვლის საშუალება და მოტივაცია.

კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, სკოლა ახორციელებს არაფორმალურ აქტივობებს,სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სასკოლო კლუბების მუშაობა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას.

მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების იდეებით და რესურსებით ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი საკითხის შესწავლას ასევე სოციალური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს გამოცდილება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების და პროექტების განხორციელების, რაც მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

**2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - შესაბამისია.**

3. სკოლა დეტალურად აღწერს ინფორმაციას და ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ღიაობას, მზაობას და სწორად აღებულ გეზს თანამშრომლობითი კულტურის არსებობის და მომავალი განვითარების შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ გარემოში, ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ხორციელდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს, რომ კათედრებზე და გაერთიანებების წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშველოვანია სკოლის წარმატებისათვის. სასკოლო კურიკულუმისა და ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავება ხდება ყველა მასწავლებლის აქტიური თანამშრომლობით. სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა.

**2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - შესაბამისია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია ღიაობა და მიმღებლობა, ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობა მისაღებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვეტილებაზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათები, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. სკოლაში არსებობს შემეცნებითი სახის კლუბები, წრეები, ხორციელდება პროექტები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას, აღნიშნული დადასტურებულია კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში. განხორციელებული და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.

გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა, რომელებიც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (პროექტები,არაფორმალური აქტივობები).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის დონეზე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება თავად აირჩიონ მათთვის სასურველი თემა, დავალების შესრულების ფორმა და დრო.

**2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. მასწავლებლებთან ინტერვიუები
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა
5. მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შაბლონი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტები. აღნიშნული დასტურდება ბრძანებებით და შინაარსში იკითხება დოკუმენტთა შექმნაში მონაწილე პიროვნებათა ვინაობა. ამ ეტაპზე, როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. მონიტორინგის ჯგუფი შეადგენს კითხვარებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის და გაზომავს სკოლის საჭიროებებს. მასწავლებელთა განვითარებისათვის დაგეგმავს მიზანმიმართულ ტრენინგებს.

სკოლა გამოთქვამს მზაობას განახორციელოს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შემუშავდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორები, რომლებიც გააკონტროლებენ პროცესის მიმდინარეობას, განისაზღვრება მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, განისაზღვრება ვინ იქნება პასუხისმგებელი თითოეული ინდიკატორის მონაცემების შეგროვებაზე, შეიქმნება ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი,თუ რა მონაცემები გაანალიზდება და როგორ იქნება წარმოდგენილი შედეგები, გეგმის ბოლოს კი მოხდება აღწერა, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.

. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში აკვირდებიან, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია კომპლექსური დავალების ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც.

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს, არის ურთიერთდასწრების პრაქტიკა , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. მომდევნო სასწავლო წლისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესებენ მონიტორინგის მექანიზმს და ხასგასმით აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები სრულფასოვნად იქნება გათვალისწინებული.

სკოლაში შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის დანერგვის შემდეგ წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით ახდენს მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმის სასწავლო პროცესში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების მონიტორინგს, შეფასებას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციას. მასწავლებლები კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ რეფლექსიის, მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და ავლენს ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოება მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული;

**2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - შესაბამისია**

3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობა. ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა გეგმავს მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე.

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას საშუალებას შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა,
4. სკოლის სასწავლო გეგმა,
5. ბრძანება სკოლის კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ,
6. მასწავლებლებთან ინტერვიუები
7. მასწავლებლის რეფლექსია

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას. კომპლექსური დავალებების, პროექტების და არაფორმალური აქტივობების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და შემაჯამებელი და ტესტური დავალებების - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით.

შეფასების სისტემა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს შეფასების წყაროების გამრავალფეროვნებას. შეფასების სისტემის დახვეწისას გათვალისწინებულ იქნება ბავშვის ემოციურ–სოციალურ– კოგნიტურ განვითარების პროცესი. სამომავლოდ დაგეგმილია მოსწავლეთა შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.

. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები , კომპლექსური ბუნების დავალებები მოიაზრებს მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მათ მეტაკოგნიტური, პიროვნული, სოციალური უნარების გათვალისწინებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალი წყაროს საშუალებით: მასწავლებლის დაკვირვება, უკუკავშირი კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, თემისგან მიღებული ინფორმაცია. სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შეფასების მექანიზმების შემუშავებას, რომელიც ჰოლისტური შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას მოიაზრებს.

**2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - შესაბამისი**

2. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთა ინტერესი და შესაძლებლობა. შეფასების რუბრიკები კომპლექსურია და ორიენტირდება გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის და აქედან გამომდინარე იქმნება შესაბამისი შეფასების რუბრიკები - ვკითხულობთ თვითშეფასების დოკუმენტებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია რომ სკოლაში შეფასების განხორციელებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა კონტექსტი(მაგალითად: სოციალური ფონი, ენობრივი ბარიერი, ასაკობრივი თავისებურება). სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს,

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.

**2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - შესაბამისი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების გზად სახელდება დამრიგებლის დაკვირვება ფორმალური და არაფორმალური აქტივობების პროცესში. გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში). იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობენ კომპლექსურად. მოსწავლის დაფიქსირებული შედეგის გაუმჯობესების მიზნით, მშობლის მიმართვიანობის შემდეგ, ინიშნება საგნის გამოცდა. სკოლა, მომდევნო სასწავლო წელს, გეგმავს შექმნას ფოკუს ჯგუფები სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, აწარმოოს ინტერვიურება და მოქმედება მიმართოს გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლაში დაკვირვების საფუძველზე ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ამისათვის კლასის დამრიგებლები ქმნიან საგნის მასწავლებლებისთვის გამოკითხვის ბარათებს, რომელშიც უთითებენ მოსწავლემ რა დაძლია კარგად, რა გაურთულდა და რაში სჭირდება დახმარება. ასევე, მონაცემებს აგროვებენ ზეპირი შეფასებით, გაკვეთილზე დაკვირვებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,იმისათვის, რომ 2023-24 სასწავლო წელს მოსწავლე ან კურიკულუმების დანერგვის პროცესი ჰოლისტურად შეფასდეს, სკოლა გამოიყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება კითხვ არები, ფოკუსირებული დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

. წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადსახვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის .

**2.3.2.3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - შესაბამისია**

4. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა შეფასება ხორცილდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით . მაგ, რამდენად იყო შესასწავლი საკითხი და სასწავლო პროცესი ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე. რამდენად ეფექტური იყო მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების სტრატეგიები და რესურსები, რამდენად ინკლუზიური იყო სასწავლო გარემო, გათვალისწინებული იყო თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და როგორი იყო მოსწავლის სოციალურ-ემოციური ფონი.

**2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. შეფასების რუბრიკები;
3. შემაჯამებელი ოქმი;
4. დამრიგებლის საათი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები
6. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. *თვითშეფასების ფორმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმებს შორის.

სკოლას ამ ეტაპზე აქვს გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების, განხორციელებული პროექტების რეფლექსიებზე დაყრდნობით კურიკულუმის გადასინჯვის გამოცდილება. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია როგორ მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება რის საფუძველზეც იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი - შესაბამისი**

2. ,,2023-24 სასწავლო წლიდან საბაზო საფეხურის მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას გააკეთებენ შეფასებას ,რამდენად მიზნობრივად შესრულდა კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და როგორ აისახა იგი მოსწავლის შედეგებზე. მასწავლებლები გააკეთებენ კურიკულუმით დაგეგმილი და რეალიზებული დავალებების ანალიზს/რეფლექსიას, შეაფასებენ სასწავლო რესურსების ეფექტიანობას და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. საბოლოო ანგარიშს კათედრები წარადგენენ პრეზენტაციის ან მათთვის სასურველი ფორმით პედსაბჭოზე''. - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები, ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია სამომავლოდ როგორ მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის ჩარჩო,
2. სასკოლო სასწავლო გეგმა,
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. ინტერვიუ მასწავლებელთან
6. *კათედრის ოქმი მასწავლებლის წლიური ანგარიში*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2** | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის განხორციელება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. თვითშეფასების კითხვარში ვხვდებით ჩანაწერს, რომ სკოლაში საგნობრივი კურიკულუმები მუშავდება კათედრებზე, კოლეგების აქტიური თანამშრომლობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სრულფასოვნად აქვთ გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები. მომდევნო სასწავლო წლიდან, საგნობრივ კურიკულუმებში მოხდება მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების ასახვა. კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა იღებს ახალ გამოწვევას, 2023-2024 სასწავლო წლიდან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრონ შუალედური და გრძელვადიანი მიზნები და კომპლექსური დავალებების განხორციელების პრაქტიკა დანერგონ.

დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი. საგნობრივ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია. პარალელური კლასების მასწავლებლები თანხმდებიან კომპლექსური დავალებების შერჩევასთან დაკავშირებით. სასკოლო კურიკულუმი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასრულებისას ხდება კათედრის მუშაობის ანალიზი, პედაგოგები ავსებენ მასწავლებელთა თვითშეფასების ანგარიშებს.

სკოლა ახორციელებს პროგრამებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. მასწავლებლებმა კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის მოსაზრება, რომელიც დადგინდა მათი გამოკითხვითა და ინტერვიურების გზით. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით დაიგეგმა აქტივობები. სკოლამ კურიკულუმები განათავსა სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, კერძოდ სკოლაში საინფორმაციო დაფაზე და ონლაინ სივრცეში ასევე მშობლებს და მოსწავლეებს გააცნეს უშუალო კომუნიკაციით ღია კარის დღეზე. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მოხდა ცვლილებები, რომლებიც აისახა კურიკულუმების საბოლოო ვარიანტში. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას - შესაბამისია**

2. თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს სასკოლო გეგმის კალენდარი, რომელშიც გაწერს შესასრულებელ ღონისძიებებს, რაც მშობელთა ჩართულობის მაჩვენებელს გაზრდის. საგნობრივ კურიკულუმებში ეტაპობრივად აისახება სასკოლო საზოგადოების ინტერესი და კიდევ ერთხელ ხაზგასმით იქნება ნაჩვენები ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი (გამოკითხვა, დამრიგებლის როლი, თემის ინტერესები, დირექციის აქტიურობა და ა.შ.)

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმში აისახება, სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესები. მასწავლბელბემა ხაზი გაუსვეს,რომ სასკოლო კურიკულუმი შეიმუშავეს თანამშრომლობითი პრინციპით. სკოლას აქვს მზაობა იმის, რომ საჭიროებიდან გამომდინარე შეიტანონ ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც გათვალისწინებული იქნება მმოსწავლეების და მშობლების ინტერესები.

.სასკოლო კურიკულუმი ძირითადად მუშავდება კათედრაზე, მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებების რაოდენობა განსაზღვრეს შეთანხმებულად, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებული ზეპირი უკუკავშირის გზით. ასევე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს.

შემუშავებულია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, რესურსები, რომლებშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ასევე, კონსტრუქტივისტული მიდგომები, დიფერენცირება, ეს შესაძლებელს ხდის მოსწავლეები უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში, მშობლებთან პირისპირ ან ონლაინ შეხვედრის დროს სადაც ხდება მშობლების ინფორმირება, მათი უკუკავშირის მიღება და გათვალისწინება.

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - შესაბამისია.**

3. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს და აქტივობებს. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების რეფლექსია, რომელიც განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროს. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს და თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ისინი ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებსა და სასკოლო თუ საკლასო აქტივობებს, არაფორმალური მიმართულებით გამართულ ღონისძიებებში ჩართულობას. საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობენ სხვა კათედრებთანაც. . სკოლას აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

მასწავლებლები სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, თანამშრომლობის გზით, საგნობრივ კურიკულუმებს. ერთმანეთთან შეთანხმებით სავალდებულო თემებიდან შეირჩა ძირითადი საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, დაიგეგმა კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების გზები, ასევე შეირჩა საჭირო სასწავლო რესურსები. ერთად შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტები. მშობლების ჩართულობით დაზუსტდა მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც აისახა კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, რესურსებისა და აქტივობების შერჩევისას.

**ინდიკატორი 2.1.1.3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით - შესაბამისია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასკოლო კურიკულუმების გაზიარება ხდება სხვადასხვა აქტივობით, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ღონისძიებებით. სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას გეგმავს დოკუმენტის გაზიარების კუთხით, რასაც არაერთხელ გამოკვეთავს პროცესის აღწერისას. პედაგოგებმა, ინტერვიურების პროცესში აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის გაზიარების მიზნით, მოაწყობენ ღია გაკვეთილებს და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დამუშავების პროცესის დაკვირვების საშუალებას მისცემენ მშობლებსა და დირექციას.

ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამებს, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებებს, იღებენ მათგან უკუკავშირს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. მოსწავლეებს კლასის საათზე სთავაზობენ პროექტებს. დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ მშობლებს სამოქმედო გეგმას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დადასტურდა, რომ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტები, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. სკოლის თვითშეფასების კითხვარშიც აღნიშნულია, რომ მშობლებს ინტენსიურად მიეწოდებათ ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინდივიდუალურად შეხვედრებზე ან სოციალური ქსელების საშუალებით. გარდა ამისა, ინტერვიუების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროს მასწავლებლებმაც ისაუბრეს იმის შესახებ, რომ რეგულარულად განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმის დახვეწისა და განვითარების შესახებ, მშობლებთან და მოსწავლეებთან აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, ჩაატარეს გამოკითხვა მოსწავლეთა ინტერესების განსასაზღვრად, რათა განესაზღვრათ შესაბამისი სასწავლო მასალა.

**2.1.1.4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისია**

**მტკიცებულებები**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. შემაჯამებლის ანალიზი
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
4. საგნობრივი  კურიკულუმები
5. თვითშეფასების კითხვარი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დამრიგებლის დღიური
7. მშობელთა კრების ოქმი

### 2.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, თითოეული კლასის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისას აშკარად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილ მტკიცებულებებში.

შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. მომავალი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლისათვის დაგეგმილ კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით ( როგორც პრაქტიკული , ასევე თეორიული მიმართულებით),, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საგანში სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო დასარულებელია. გასაუბრების დროს პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ეს ხარვეზი გამოსწორდება და ცვლილებები იქნება შეტანილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში. რაც განხორციელდა კიდეც.

კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულოდ შესასწავლი თემები, საგნობრივი საკითხები და სასწავლო რესურსები, რომელსაც სკოლა თავაზობს საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. სავალდებულო თემის ფარგლებში ყველა შედეგი და სამიზნე ცნება მუშავდება. სკოლაში ვიზიტის დროს კურიკულუმებში არსებული მცირე ხარვეზები (დაზუსტდა რესურსები, დაიხვეწა კომპლექსური დავალების იდეა, თემებში ინდიკატორების შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განისაზღვრა სამიზნე ცნებები) მუშაობის პროცესშივე გასწორდა და წარმოდგენილი იქნა სრულყოფილი სახით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმი განვითარდება და შეივსება სასწავლო რესურსებით. მიმდინარე, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარების გზას.

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - შესაბამისია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სრული კორელაცია გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, დაგეგმვასა და შეფასებას შორის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, თითოეულ კლასში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება, რომლის დამუშავებაც გულისხმობს ამა თუ იმ გრძელვადიანი მიზნის გააქტიურებას, უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები, სასწავლო თემები მიზნობრივად არის შერჩეული და შეესაბამება ერთმანეთს. გამოკვეთილია რომელი ქვეცნებები აქტიურდება, რაც ხელს უწყობს პროცესის ნათლად წარმოდგენას, ჩანს, თუ როგორ მიჰყავს მასწავლებელს მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ კომპლექსური დავალების პირობის შესრულებამდე.

საგნობრივი კურიკულუმები მიემართება 21-ე საუკუნის უნარებს, ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, ცნებები. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების ((კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია) განვითარებას რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება.

**2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) - შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, რაც ინტერვიურების პროცესში დადასტურდა. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში ჩაშენდება მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

კურიკულუმები დაგეგმილი არის თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების, შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინდივიდუალურ ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება და წარმოდგენილი აქვს ყველა დოკუმენტაცია. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. კათედრა ითვალისწინებს და იყენებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს, რისი დასტურიცაა სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინკლუზიურ მიდგომასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფის ოქმები და შიდა მონიტორინგის დასკვნა.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, კერძოდ მოსწავლეებისთვის არჩევანის შეთავაზებით ან კონკრეტული აქტივობის მოდიფიცირებით.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომლებშიც შეტანილი აქვთ მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებებიც, ვიზიტის დასრულებამდე სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია აქტივობები დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით.

**მიეცათ რჩევა,** რომ ისგ, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. კათედრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხის მიმართ.

**2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ ინკლუზიურ მიდგომებს - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. თვითშეფასების კითხვარში და სხვა დოკუმენტებშიც ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეფასების (როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი) რუბრიკებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შეფასების რუბრიკები. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ-მაგალითის მიმართ და განმსაღვრელი რუბრიკის შექმნა საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის.

სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ს პედაგოგები იცნობენ და პრაქტიკაში ეფექტურად იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ფორმებს. შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით აფასებენ მოსწავლეებს და აძლევენ რჩევებს. მოსწავლეთა შეფასება ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. პედაგოგებს აქვთ მზაობა პრაქტიკაზე დაყრდნობით კათედრების თანამშრომლობით მეტად დახვეწონ, განავითარონ და სრულყოფილი გახადონ შეფასების ინსტრუმენტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მიეცათ რჩევა,** შეფასების რუბრიკებში ხაზი გაესვას დასამუშავებელ ცნება/ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს და შესასწავლ საკითხთან და თემასთან შესაბამისობას. კათედრამ წარმოადგინა მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

**2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - შესაბამისია**

5. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. სკოლაში პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სასკოლო კურიკულუმი აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპით და ითვალისწინებს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა/ანალიზი, რის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება კურიკულუმის შემუშავების წინარე გამოცდილება და მისი გათვალისწინება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოს შექმნისას. ინტერვიურების პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ახალი ჩარჩო უფრო მკაფიოა და მარტივია მასში ორიენტირება, როცა გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კათედრას აქვს თემატური გეგმების შევსების გამოცდილებაც და შეძლებენ ყველა განხორციელებული კომპლექსური დავალების შემდეგ, შეავსონ თემატური მატრიცა, სადაც ასახავენ სრულ მოცემულობას შესასწავლ თემასთან მიმართებით.

**2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები,
2. სასკოლო სასწავლო გეგმა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი,
4. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 კურიკულუმის განხორციელება**

**4.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომ სკოლაში განხორციელებული სასწავლო ფორმალური და არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას. სკოლის მიზანია, მოსწავლე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩამოაყალიბოს თავისუფალ, მოაზროვნე, შემოქმედებით ინდივიდად, შესძინოს ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ინტერვიურების პროცესში მასწავლებლებმა  აღნიშნეს, რომ გარდა კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტების და შეფასების რუბრიკების შექმნისა, აქტიურად თანამშრომლობენ და გეგმავენ საგნობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებს, რაც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს. სკოლაში ვიზიტზე მყოფ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ადგილზევე ენახათ კათედრების მიერ შესრულებული პროექტები, რომელიც მოცემული იყო გამოფენის სახით.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ  უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. გასაუბრების დროს  პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ განახორციელეს პროექტი სახელწოდებით „მე ვკითხულობ, შენ?“ სადაც აქტიურად ჩაერთვნენ მოსწავლეები. მათ  სასკოლო სივრცეში სასკოლო საზოგადოებას გააცნეს საკუთარი რჩეული წიგნები. სასკოლო აქტივობებში ჩართულობა კი მოსწავლეების შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განაპირობებს.

კურიკულუმებში შეტანილია  როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები,  პრაქტიკული მიმართულებით დაგეგმილი ფესტივალები და თეორიული მიმართულებით დაგეგმილი მოსწავლის მიერ შესაქმნელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტები , სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, კოლეგები ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად.

კურიკულუმებში გაწერილი მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებით უნარების განვითარებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში, სასკოლო წრეებში. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტიცაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას.

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია.**

2. კათედრას გათავისებული აქვს კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება წინარე გამოცდილებას. მათივე თქმით, მოცემული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლეებს გავახსენოთ შესწავლილი მასალა და ახალი ცოდნა ძიებით და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მივაღებინოთ. პედაგოგები ასევე აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რესურსებს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებაში.

პედაგოგებმა კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ააგეს ჩარჩო კურიკულუმები, რომელიც დაგეგმილია თემატურად, საკითხები თანმიმდევრულია და ორგანიზებულია. სავალდებული თემების ფარგლებში შერჩეული მთავარი საკითხები და კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კომპლექსურ დავალებებში წარმოდგენილი სხვადასხვა ქეისებით, სიტუაციური ამოცანებით, მეტაკოგნიტური კითხვებით, რესურსებითა და აქტივობებით შესაძლებელია წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება, რაც მოსწავლეებს ეხმარება ნაცნობ კონტექსტში, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ააგონ ახალი ცოდნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემატურ გეგმაში დეტალურადაა გაწერილი შეკითხვები, რომლებიც თემატური თვალსაზრისით ააქტიურებენ მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებს და მათზე დაშენებით აიგება ახალი ცოდნა.

საკუთარი საგაკვეთილო პრაქტიკის აღწერით ჩანს, რომ, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აშენებს ახალს. რაც აადვილებს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. პედაგოგს აქვს სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისა.

**2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია**

3. საგნების კურიკულუმში მოცემული შესასწავლ მასალაში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოცემული მასალა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს წამოჭრას პრობლემა, ეძიოს გადაჭრის გზები და წარმოადგინოს ისეთი პროდუქტი, რომელიც მას ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს.

კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია კომპლექსური დავალებების იდეები. პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსური დავალებები უნდა განხორციელდეს ისეთი აქტივობებით და სტრატეგიებით, რომ მოსწავლემ შეძლოს დაკვირვება და დაფიქრება იმაზე რა არის უკეთესი მისი პროგრესისავის და საკუთარი შემეცნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი დაგეგმოს. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად ააგოს ცოდნა, შექმნას კომპლექსური დავალების პროდუქტი და პრეზენტაციის გზით წარმოადგინოს მიღებული ცოდნის გამოყენების ყველა შესაძლო ასპექტი. სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა.

მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისათვის სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებზე, შეფასების მექანიზმებზე ,მაგალითდ თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება. ასევე, წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება. სკოლაში განხორციელებულია პროექტები, რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებაზე და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს, მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში, საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეების იყენებენ თვითშეფასების და ურთიერშეფასების რუბრიკებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. საბაზო საფეხურზე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასწავლო პროცესს ლაიტმოტივად გასდევს განხორციელებული აქტივობების თვითრეფლექსია: რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით? რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - თხზულების შექმნისას? რატომ? - ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნა უწყობს ხელს მოსწავლეებში საკუთარი სწავლების პროცესზე დაკვირვების უნარების განვითარებას.

კომპლექსური დავალებების განხორციელებისას ბუნებრივია, აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს მოცემული დავალების შესასრულებლად მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. შემდგომ კი ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები გამოიყენებენ როგორც გონებრივ, ასევე ემოციურ კომპონენტს. გონებრივ კომპონენტში შემავალი უნარ-ჩვევების გასავითარებლად. მოსწავლეებს შესთავაზებენ ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებასა და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ემოციური კომპონენტის გასავითარებლად მოსწავლეებს დაეხმარებიან, ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება, ის რომ არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების; ისწავლონ ემოციების კონტროლი. ასევე, წახალისებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, მოსწავლეებს შეთავაზებენ სხვადასხვა აქტივობებს, მაგ. ანალოგიებით სწავლება, როლური თამაშები, აქტივობა „ ვინ ვარ მე“ და სხვა.

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია**

4. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსური დავალებების პირობებში, ურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები, კომპლექსური დავალების განხორციელება კი თავის მხრივ მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისაკენ. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას. მასალების შესწავლისა და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების , პროექტული სწავლების გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების და აქტივობების განხორციელების გამოცდილება, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედერული, პირობისეული) - შესაბამისია**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, პროექტული ტიპის აქტივობებით, ინტეგრირებული გაკვეთილებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე და სხვა, რაც მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საშუალებას აძლევს.

წარმოდგენილ კურიკულუმში საწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ინტეგრირება მოხდეს სხვადასხვა საგანთან. ამ მიზნით სკოლაში ტარდება სხვადასხვა კლუბური მუშაობა. მოსწავლეები მონაწილეობენ კონფერენციებში, ეწყობა ექსკურსიები, მხიარული სტარტები და სხვადასხვა არაფორმალური განათლების აქტივობები, რაც ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მნიშვნელოვანია ის კოგნიტური პროცესები, რომელსაც მოსწავლე გაივლის კომპლექსური დავალების შესრულებისას, სადაც მოსწავლე საუბრობს იმაზე, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები, მოსწავლის საბოლოო პროდუქტის წარდგენა უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის ტრანსფერს.  ცოდნის ორგანიზება საბოლოოდ დაეხმარება მოსწავლეებს სკოლაში მიღებული ცოდნა ცხოვრებაშიც გამოიყენონ  პრობლემების გასამკლავებლად.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი აგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. შესაბამისად, კომპლექსური ხასიათის დავალება ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთ დაკავშირება - შესაბამისი**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. თვითშეფასების კითხვარი
2. საგნობრივი კურიკულუმები კურიკულუმები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. თემატური მატრიცები
5. კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, სავალდებულო თემებში საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ჩანს სამიზნე ცნებებისა და საკითხების ფორმულირება, განსაზღვრულია სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კონტექსტმაგალითები, ჩამოყალიბებულია ნაცნობ კონტექსტზე შექმნილი კომპლექური დავალებები და შერჩეულია მოსწავლისთვის საინტერესო და მიზანზე ორიენტირებული სასწავლო რესურსები. მოსწავლე სხვადასხვა თემაში ამუშავებს ცნებებს, რომელსაც გაითავისებს და განაზოგადებს ცნების მკვიდრი წარმოდგენების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვთ სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის, რაც მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით.

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, , რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია**

2. მოცემული სავალდებულო თემები, თემებში ჩაშლილი საკითები და კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მრავალფეროვანი ვიდეო-აუდიო მასალის, ცხრილების, სქემების და სხვა ტიპის დავალებების მოსმენას, შესრულებას და პრეზენტირებას, რაც მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების, სხვადასხვა საჭირო პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ უნარებს.

კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი სკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო სოციალურ განვითარებისკენ. საგნის კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. პროექტებში ჩართულ მოსწავლეებს უვითარდებათ თანაგანცდის, ემპათიის გრძნობა,რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს. ინტერვიუზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათები, რომელშიც შერჩეულია ისეთი თემატიკა, რაც აქტუალურია მათი ასაკისთვის და ცნობიერებისთვის.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსოქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად მისი თითოეული აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი, არამედ სოციოემოციური სფეროს განვითარებაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისია**

3. პირისპირ გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. სკოლაა აქვს მზაობა შექმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი მოდელი, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლეთა მიღწევის დონეების შეფასების მიზნით, მასწავლებლები წლის განმავლობაში ორჯერ ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებებს. სწავლა-სწავლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში სამომავლოდ (დიფერენცირებული მიდგომების დახვეწის თვლსაზრისით) სკოლა განახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. თითოეული მათგანი არის ავთენტური ბუნებისა, ანუ შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, რათა მათ განივითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების შემდეგ ინსტრუმენტებს: 3-2-1, ერთწუთიანი ესე, სიტყვების დახარისხება, გასასვლელი ბარათები, ერთწინადადებიანი შეჯამება , მოთხრობის დაწერა. მასწავლებლებს აქვთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა და ამჟამადაც აქტიურად იყენებენ მათ. მომავალი სასწავლი წლიდან სკოლა მეტად ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კომპლექსურ დავალებებში იქნება ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს თავად იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მათი მიღწევის დონეების შეფასების მიზნით, მასწავლებლები წლის განმავლობაში ორჯერ ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებებს.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის და აკადემიური მიღწევების ანალიზი ინსტრუმენტები, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში .ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე.

**2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - შესაბამისია**

4. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. შეფასების სისტემაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები, მოსწავლეებმა იციან,თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. ისინი თავად ერთვებიან შეფასების დიზაინის შემუშავებაში. მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გაწერილია თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, აღინიშნა, რომ მომზადდა კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებიც კომპლექსური დავალების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტერიუმების შესაბამისად გაიწერა და რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში,

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.

**2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური , გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისი**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. ,,სკოლაში არის ხარისხის განვითარების ჯგუფი. პედსაბჭოზე, კათედრებზე ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და განიხილება მოსწავლის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. ხდება ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესს. სამომავლოდ სკოლაში შეიქმნება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - რომელშიც გაიწერება შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა , შედეგები და აისახება სამოქმედო გეგმაში'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქმნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან, ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტებით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან შესაბამის უკუკავშირს. ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი, კერძოდ, კომპლექსური დავალების ანალიზი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი აქვთ მოსწავლეთაა აკადემიური მიღწევების შეფასების წესები.

**2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისია**

6.ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. ,,სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციების დაცვას. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს შეფასების სისტემა, რომელშიც განსაზღვრული იქნება კურიკულუმების, მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, მასწავლებელთა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიუს მიხედვით , სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლოს, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.

**2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები
3. მასწავლებლებთან ინტერვიუები
4. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
5. შემაჯამებლების ანალიზი
6. თვითშეფასების კითხვარისასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობასთან პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა. მასწავლებლები კათედრებზე ესწრებიან გაკვეთილებს და პოზიტიურ უკუკავშირს უბრუნებენ კოლეგებს. სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი", რომელიც საჭიროებს დახვეწას და მეტი ინტენსივობით ამოქმედებას. სკოლა ახორციელებს ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ.

გასაუბრებიდან და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, განხორციელებული საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. კათედრის ყველა წევრებმა ერთობლივად შიმუშავეს კურიკულუმები, ერთობლივად დაგეგმეს გაკვეთილები, კოლეგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და რჩევებს. სკოლაში შექმნილია მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე ორიენტირებული პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

.სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. სკოლაში არსებობს და მყარადაა შენარჩუნებული საზოგადოების განსხვავებული წევრების მიმღებლობა, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სსსმ მოსწავლეებზე, რომელთაც სთავაზობენ ადაპტირებულ სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროგრამებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები სადამრიგებლო კლასის საათის ფარგლებში ჩაატარებენ საუბრებს სხვადასხვა თემებზე მაგალითად „როგორ გავერთო ისე,რომ სხვას არ ვავნო“ , „ განსხვავებულობა არ არის პრობლემა“ და სხვა. მასწავლებლების მხრიდან წახალისებული იქნება მოსწავლის ქცევა, როდესაც ის დაეხმარება სხვას, მოეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სასკოლო სივრცეში. სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის პრიორიტეტები, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შედგენილია საათობრივი ბადე. სკოლას აქვს შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის. სკოლას ჰყავს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები, შესაბამისად ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. კურიკულუმზე მუშაობისას მოხდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, თანამშრომლობითი ურთიერთობები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დადებითობის,პოზიტიურობის განცდას და ეხმარება მას თავი იგრძნოს სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი და მიმღებლობითი სასწავლო გარემოს შექმნას.

**2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო - შესაბამისია**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი სკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო სოციალურ განვითარებისკენ. საგნის კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. პროექტებში ჩართულ მოსწავლეებს უვითარდებათ თანაგანცდის, ემპათიის გრძნობა,რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათები, რომელშიც შერჩეულია ისეთი თემატიკა, რაც აქტუალურია მათი ასაკისთვის და ცნობიერებისთვის.

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სასკოლო პროექტებში ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული და უზრუნველყოფს სამომავლოდაც მათში ინტერესის გაღვივებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ სხვადასხვა მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი.

გასაუბრებიდან და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, განხორციელებული საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. კათედრის ყველა წევრებმა ერთობლივად შიმუშავეს კურიკულუმები, ერთობლივად დაგეგმეს გაკვეთილები, კოლეგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და რჩევებს. სკოლაში შექმნილია მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე ორიენტირებული პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო.

**2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - შესაბამისი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა დეტალურად აღწერს ინფორმაციას და ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ღიაობას, მზაობას და სწორად აღებულ გეზს თანამშრომლობითი კულტურის არსებობის და მომავალი განვითარების შესახებ.

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობის კულტურა. ურთიერთდასწრებებით და კათედრის სხდომებზე განხილვებით ხდება გამოცდილების გაზიარება. საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობით. არაფორმარული აქტივობები იგეგმება ერთობლივად. კათედრები მეტი ინტენსივობით დაგეგმავს ჩაატაროს ინტეგრიტებული გაკვეთილები, ამასთან ერთობლივად დაგეგმავენ და განახორციელებენ პროექტებს.

სასწავლო პროცესის წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია თანამშრომლობითი კულტურისა და გამოცდილი კომუნიკაციის გარეშე. ამ მიზნით სკოლაში ტარდება საგნობრივი კათედრის სხდომები, ხორციელდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, სკოლაში არის ხარისხის ჯგუფი, რომელიც ეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, ითვინინგის პროექტში მონაწილეობის მიღების შემდეგ პედაგოგმა სტატიის სახით გაუზიარა თანამშრომლებს გამოცდილება საგაკვეთილო პროცესში Web 2.0. ინსტრუმენტების გამოყენების მნიშვნელობაზე . თითოეულის ძირითადი მიზანია სწავლის ხარისხის გაზრდა, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნა და პრაქტიკაში გამოყენება. 2023-24 სასწავლო წლიდან სკოლის მასწავლებლები განახორციელებენ ისეთ აქტივობებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც გულისხმობს საგანთშორისი კავშირების დამყარებას, მაგალითად დაგეგმილია ინტეგრირებული გაკვეთილები ხელოვნებასა და ისტორიაში, უცხო ენასა და გეოგრაფიაში. ქართულისა და ბუნების მასწავლებლები ეკოლოგიური კატასტროფებისა და მოსალოდნელი საფრთხეების გაანალიზების ხელშეწყობის მიზნით გეგმავენ ერთობლივ სასკოლო პროექტს.

კათედრასთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორცილების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, სააღმზრდელო საათი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავენ უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება. პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას.

**2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია ღიაობა და მიმღებლობა, ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობა მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში ტარდება სადმრიგებლო საათები, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. სკოლაში არსებობს შემეცნებითი სახის კლუბები, წრეები, ხორციელდება პროექტები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი.

სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული გარემო. პედაგოგები მუდმივად თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყონ პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებას ხელს უწყობს საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები. მოსწავლეებს მათი უნარებისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში წარმოადგინონ კომპლექსური დავალებები და იყვნენ მეტად თავდაჯერებულები. Სსკოლაში დაცულია მოსწავლეთა უფლებები და უსაფრთხოება. სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლას დაგეგმილი აქვს აქტივობები, რომლებიც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. (პროექტები, არაფორმალური აქტივობები). კლასის დონეზე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება თავად აირჩიონ მათთვის სასურველი თემა, დავალების შესრულების ფორმა და დრო.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას, აღნიშნული დადასტურებულია კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში. განხორციელებული და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.

**2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. მასწავლებლებთან ინტერვიუები
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა
5. მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შაბლონი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტები. აღნიშნული დასტურდება ბრძანებებით და შინაარსში იკითხება დოკუმენტთა შექმნაში

მონაწილე პიროვნებათა ვინაობა. ამ ეტაპზე, როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. მონიტორინგის ჯგუფი შეადგენს კითხვარებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის და გაზომავს სკოლის საჭიროებებს. მასწავლებელთა განვითარებისათვის დაგეგმავს მიზანმიმართულ ტრენინგებს.

სკოლა გამოთქვამს მზაობას განახორციელოს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შემუშავდება ინდიკატორები, რომლებიც გააკონტროლებენ პროცესის მიმდინარეობას, განისაზღვრება მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, განისაზღვრება ვინ იქნება პასუხისმგებელი თითოეული ინდიკატორის მონაცემების შეგროვებაზე, შეიქმნება ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი,თუ რა მონაცემები გაანალიზდება და როგორ იქნება წარმოდგენილი შედეგები, გეგმის ბოლოს კი მოხდება აღწერა, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში აკვირდებიან, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია კომპლექსური დავალების ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც.

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესაბამისია**

2. სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს, არის ურთიერთდასწრების პრაქტიკა , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. მომდევნო სასწავლო წლისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესებენ მონიტორინგის მექანიზმს და ხასგასმით აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები სრულფასოვნად იქნება გათვალისწინებული.

სკოლაში შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის დანერგვის შემდეგ წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით ახდენს მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელების მონიტორინგს, შეფასებას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციას. მასწავლებლები კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ რეფლექსიის, მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და ავლენს ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების დიაგნოსტირებას, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოება მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული;

**2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - შესაბამისია**

3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობა. ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად.

სკოლა გეგმავს . მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე.

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას საშუალებას შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმი;
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა,
4. სკოლის სასწავლო გეგმა,
5. ბრძანება სკოლის კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. მასწავლებლებთან ინტერვიუები
7. მასწავლებლის რეფლექსია

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას. კომპლექსური დავალებების, პროექტების და არაფორმალური აქტივობების შეფასება ხდება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და შემაჯამებელი და ტესტური დავალებების - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით.

შეფასების სისტემა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს შეფასების წყაროების გამრავალფეროვნებას. შეფასების სისტემის დახვეწისას გათვალისწინებულ იქნება ბავშვის ემოციურ–სოციალურ– კოგნიტურ განვითარების პროცესი. სამომავლოდ დაგეგმილია მოსწავლეთა შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები , კომპლექსური ბუნების დავალებები მოიაზრებს მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მათ მეტაკოგნიტური, პიროვნული, სოციალური უნარების გათვალისწინებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალი წყაროს საშუალებით: მასწავლებლის დაკვირვება, უკუკავშირი კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, თემისგან მიღებული ინფორმაცია. სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შეფასების მექანიზმების შემუშავებას, რომელიც ჰოლისტური შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას მოიაზრებს.

**2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - შესაბამისი**

2. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთა ინტერესი და შესაძლებლობა. შეფასების რუბრიკები კომპლექსურია და ორიენტირდება გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის და აქედან გამომდინარე იქმნება შესაბამისი შეფასების რუბრიკები - ვკითხულობთ თვითშეფასების დოკუმენტებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია რომ სკოლაში შეფასების განხორციელებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა კონტექსტი(მაგალითად: სოციალური ფონი, ენობრივი ბარიერი, ასაკობრივი თავისებურება).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს,

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.

**2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - შესაბამისი**

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების გზად სახელდება დამრიგებლის დაკვირვება ფორმალური და არაფორმალური აქტივობების პროცესში. გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში). იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობენ კომპლექსურად. მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფიქსირებული შედეგის გაუმჯობესების მიზნით, მშობლის მიმართვიანობის შემდეგ, ინიშნება საგნის გამოცდა. სკოლა, მომდევნო სასწავლო წელს, გეგმავს შექმნას ფოკუს ჯგუფები სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, აწარმოოს ინტერვიურება და მოქმედება მიმართოს გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლაში დაკვირვების საფუძველზე ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ამისათვის კლასის დამრიგებლები ქმნიან საგნის მასწავლებლებისთვის გამოკითხვის ბარათებს, რომელშიც უთითებენ მოსწავლემ რა დაძლია კარგად, რა გაურთულდა და რაში სჭირდება დახმარება. ასევე, მონაცემებს აგროვებენ ზეპირი შეფასებით, გაკვეთილზე დაკვირვებით.

,,იმისათვის, რომ 2023-24 სასწავლო წელს მოსწავლე ან კურიკულუმების დანერგვის პროცესი ჰოლისტურად შეფასდეს, სკოლა გამოიყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება კითხვ არები, ფოკუსირებული დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

. წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ხელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის .

**2.3.2.3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - შესაბამისია**

4. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც.

მოსწავლეთა შეფასება ხორცილდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით . მაგ, რამდენად იყო შესასწავლი საკითხი და სასწავლო პროცესი ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე. რამდენად ეფექტური იყო მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების სტრატეგიები და რესურსები, რამდენად ინკლუზიური იყო სასწავლო გარემო, გათვალისწინებული იყო თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და როგორი იყო მოსწავლის სოციალურ-ემოციური ფონი.

**2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. შეფასების რუბრიკები;
3. შემაჯამებელი ოქმი;
4. დამრიგებლის საათი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები
6. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
7. თვითშეფასების ფორმა

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ" და „აღსრულებულ" კურიკულუმებს შორის.

სკოლას ამ ეტაპზე აქვს გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების, განხორციელებული პროექტების რეფლექსიებზე დაყრდნობით კურიკულუმის გადასინჯვის გამოცდილება. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია როგორ მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი და შეფასება რის საფუძველზეც იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი - შესაბამისი**

2. ,,2023-24 სასწავლო წლიდან საბაზო საფეხურის მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას გააკეთებენ შეფასებას ,რამდენად მიზნობრივად შესრულდა კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და როგორ აისახა იგი მოსწავლის შედეგებზე. მასწავლებლები გააკეთებენ კურიკულუმით დაგეგმილი და რეალიზებული დავალებების ანალიზს/რეფლექსიას, შეაფასებენ სასწავლო რესურსების ეფექტიანობას და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. საბოლოო ანგარიშს კათედრები წარადგენენ პრეზენტაციის ან მათთვის სასურველი ფორმით პედსაბჭოზე''. - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები, ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია სამომავლოდ როგორ მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად.

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის ჩარჩო,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო სასწავლო გეგმა,
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. ინტერვიუ მასწავლებელთან
6. კათედრის ოქმი
7. მასწავლებლის წლიური ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საშუალო) | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2** | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის განხორციელება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; თვითშეფასების კითხვარში არის ჩანაწერი, სადაც ხაზი აქვს გასმული წინა წლის მოსწავლეთა, მშობელთა, კათედრების, დირექციის ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში და მომდევნო წლის განსახორციელებელი ქმედებების დანერგვა ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. სკოლა ახორციელებს პროგრამებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებზე და დანერგვის მექანიზმებზე. პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობასა და მათი შეხედულებების გათვალისწინებას. კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის მოსაზრება, რომელიც დადგინდა მათი გამოკითხვითა და ინტერვიურების გზით. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით დაიგეგმა აქტივობები. სკოლამ კურიკულუმები განათავსა სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, კერძოდ სკოლაში საინფორმაციო დაფაზე და ონლაინ სივრცეში ასევე მშობლებს და მოსწავლეებს გააცნეს უშუალო კომუნიკაციით ღია კარის დღეზე. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მოხდა ცვლილებები, რომლებიც აისახა კურიკულუმების საბოლოო ვარიანტში. კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია. პარალელური კლასების მასწავლებლები თანხმდებიან კომპლექსური დავალებების შერჩევასთან დაკავშირებით. სასკოლო კურიკულუმი, საშუალო საფეხურზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასრულებისას ხდება კათედრის მუშაობის ანალიზი, პედაგოგები ავსებენ მასწავლებელთა თვითშეფასების ანგარიშებს.

ინტერვიუების პროცესში და დოკუმენტაციის შესწავლისასაც ჩანდა, რომ სკოლაში გადანაწილებული აქვთ საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით. სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს ამის პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. ინტერვიების დროსაც აღინიშნა, რომ კათედრები ერთმანეთთან აქტიურად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას და ერთობლივად აგებენ სასწავლო კურიკულუმს თითოეული საგნისთვის.

**2.1.1.1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას - შესაბამისია.**

2. საშუალო საფეხურზე შემუშავებულია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, რესურსები, რომლებშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობები, ასევე, კონსტრუქტივისტული მიდგომები, დიფერენცირება, ეს შესაძლებელს ხდის მოსწავლეები უფრო აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში, მშობლებთან პირისპირ ან ონლაინ შეხვედრის დროს სადაც ხდება მშობლების ინფორმირება, მათი უკუკავშირის მიღება და გათვალისწინება.

.შერჩეული სასწავლო თემებით ჩანს , რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის დროს, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან., ითვალისწინებენ კათედრის სხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებასაც და ზოგადად სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებით არის შექმილი და წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება საგნობრივი სტანდარტებს და გამომდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლა მუდმივად აკვირდება საკუთარი მოსწავლეების განვითარების გზას, სწავლობენ მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ამის მიხედვით აგებენ კურიკულუმებს, ეს დასტურდება დოკუმენტურად წარმოდგენილი კურიკულუმების სახითაც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც, თვითშეფასების დოკუმენტში შენიშნულია, რომ მშობლებს წლის დასაწყისში აცნობენ საგნობრივ კურიკულუმს და კომპლექსური დავალებების თემატიკას, ასევე აქვთ მშობლებთან სისტემატური ონლაინ და სატელეფონო კომუნიკაცია დავალებების შესრულების ინსტრუქციების უკეთესად გაგების მიზნით; პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების განაწილებაზე. კომპლექსური დავალების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და წინარე ცოდნა. უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები, წარმოდგენილი შემაჯამებლების ანალიზები, ტესტები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიაგნოსტიკური შეფასებებისთვის, ისგ-ები ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.

მასწავლებლები კათედრის წევრებთან ერთად, საგნობრივი მიმართულებებით მუშაობენ კურუკულუმის შემუშავების პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება დირექტორთან და მასთან შეთანხმების შემდეგ ინერგება. დამტკიცებული კურიკულუმები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დოკუმენტი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი).

წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს, აქტიურ თანამშრომლობას მოსწავლეებთან, მათი საჭიროებების დადგენას; მშობელთა ინფორმირებულობას სკოლის მისიის, სასკოლო კურიკულუმის, საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და უკუკავშირს, რამდენად შეძლეს სკოლის კურიკულუმების საკუთარ პრიორიტეტებთან თანხვედრის დანახვა; კათედრების ინფორმირებულობას სიახლეებით და მათ ჩართვას სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში; დირექციის როლის გამოკვეთას სასკოლო საზოგადოების ჩართულობაში. პროექტული სწავლების შემთხვევაში, პროდუქტი რომელიც იქმნება, შესაძლებელია იყოს ბუკლეტი, გაზეთი, დოკუმენტური ფილმი, კონფერენცია და ა.შ. რისი გაზიარების საშუალებაც აქვს სკოლას სოციალური გვერდის საშუალებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, შეიძლება, უფრო მასშტაბური სახე მიეცეს პროექტის წარდგენას და სასკოლო საზოგადოების წევრები და მოწვეული სტუმრები დაესწრნონ პროექტის პროდუქტის პრეზენტაციას.

**2.1.1.2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - შესაბამისი**

3. კათედრის მასწავლებლები სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თანამშრომლობენ და ხდება კურიკულუმის შექმნა, რომელშიც ჩართულია ყველა პედაგოგი. ერთმანეთთან შეთანხმებით სავალდებულო თემებიდან შეირჩა ძირითადი საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, დაიგეგმა კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების გზები, ასევე შეირჩა საჭირო სასწავლო რესურსები. ერთად შემუშავდა შეფასების ინსტრუმენტები. საშუალო საფეხურზე მშობლების ჩართულობით დაზუსტდა მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც აისახა კურიკულუმში შესაბამისი კომპლექსურების, რესურსებისა და აქტივობების შერჩევისას.

ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს, კომპლექსურ დავალებებს და აქტივობებს. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების რეფლექსია, რომელიც განიხილება საგნობრივ კათედრებზე და იკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გათვალისწინებულია კურიკულუმის შემუშავების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროს. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია , სადაც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

**2.1.1.3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისი**

4. თვითშეფასების დოკუმენტში იკითხება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინფორმაციის მიღება-გაცვლის წყაროს წარმოადგენს დამრიგებლის მიერ ორგანიზებული მშობელთა კრებები. სკოლას აქვს სოციალური გვერდი და აქტიურად გეგმავს გამოყენებას სიახლეების გასაცნობად.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და პედაგოგების ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმზე მუშაობა ხდება გუნდურად, ერთობლივად, რაც კურიკულუმს ავტომატურად გაზიარებულს ხდის. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სადამრიგებლო პროგრამებს, ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა. სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმირებული არიან მოსწავლეთა მშობლები სოციალური ქსელის, საინფორმაციო დაფის, თიმსის პლატფორმის, საგნის მასწავლებლებთან და კლასის დამრიგებლებთან უშუალო კომუნიკაციის გზით. მიმდინარე სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წელს იგეგმება მშობელთა გამოკითხვა, რომლის საშუალებითაც დადგინდება რა მოეწონათ მათ და რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება მოხდება კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დადასტურდა, რომ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტები, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. სკოლის თვითშეფასების კითხვარშიც აღნიშნულია, რომ მშობლებს ინტენსიურად მიეწოდებათ ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინდივიდუალურად შეხვედრებზე ან სოციალური ქსელების საშუალებით. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს მასწავლებლებმაც ისაუბრეს იმის შესახებ, რომ რეგულარულად განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმის დახვეწისა და განვითარების შესახებ, მშობლებთან და მოსწავლეებთან აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, ჩაატარეს გამოკითხვა მოსწავლეთა ინტერესების განსასაზღვრად, რათა განესაზღვრათ შესაბამისი სასწავლო მასალა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმის მიხედვით კურიკულუმზე მუშაობის საერთო, გუნდური პროცესი, ავტომატურად გაზიარებულს ხდის მას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ფლობენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას. ამ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართულებით არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს მშობლების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**2.1.1.4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - შესაბამისი**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. შემაჯამებლის ანალიზი
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
4. საგნობრივი კურიკულუმები
5. თვითშეფასების კითხვარი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.4. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, თითოეული კლასის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისას აშკარად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, კონტექსმაგალითების, სასწავლო თემების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილ მტკიცებულებებში.

შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილ კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო თემებით (როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით) გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები.  უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საგანში სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო დასარულებელია.  გასაუბრების დროს პედაგოგებმა განაცხადეს, რომ ეს ხარვეზი გამოსწორდება და ცვლილებები იქნება შეტანილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში. რაც განხორციელდა კიდეც.

კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულოდ შესასწავლი თემები, საგნობრივი საკითხები და სასწავლო რესურსები, რომელსაც სკოლა თავაზობს საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. სავალდებულო თემის ფარგლებში ყველა შედეგი და სამიზნე ცნება მუშავდება. სკოლაში ვიზიტის დროს კურიკულუმებში არსებული მცირე ხარვეზები (დაზუსტდა რესურსები, დაიხვეწა კომპლექსური დავალების იდეა, თემებში ინდიკატორების შესაბამისად განისაზღვრა სამიზნე ცნებები) მუშაობის პროცესშივე გასწორდა და წარმოდგენილი იქნა სრულყოფილი სახით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმი განვითარდება და შეივსება სასწავლო რესურსებით. მიმდინარე, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარების გზას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.1.2.1.შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას - შესაბამისია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ უნარებსა და მაკრო ცნებებს. ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ ინტეგრირებულად და მიზნობრივად გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება ახალი ცოდნის და ისეთი უნარების გასავითარებლად, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, წაახალისებენ მათ გააზრება-გაცნობიერებას და სრულყოფას. ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების განვითარებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სრული კორელაცია გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, დაგეგმვასა და შეფასებას შორის.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, თითოეულ კლასში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება, რომლის დამუშავებაც გულისხმობს ამა თუ იმ გრძელვადიანი მიზნის გააქტიურებას, უნდა აღინიშნოს, რომ ცნებები, სასწავლო თემები მიზნობრივად არის შერჩეული და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეესაბამება ერთმანეთს. გამოკვეთილია რომელი ქვეცნებები აქტიურდება, რაც ხელს უწყობს პროცესის ნათლად წარმოდგენას, ჩანს, თუ როგორ მიჰყავს მასწავლებელს მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ კომპლექსური დავალების პირობის შესრულებამდე.

საგნობრივი კურიკულუმები მიემართება 21-ე საუკუნის უნარებს, ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, ცნებები. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების ((კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია) განვითარებას რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება.

**2.1.2.2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) - შესაბამისი.**

3. თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ სკოლას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, რაც ინტერვიურების პროცესში დადასტურდა. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებში ჩაშენდება მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმები დაგეგმილი არის თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების, შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინდივიდუალურ ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება და წარმოდგენილი აქვს ყველა დოკუმენტაცია. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. კათედრა ითვალისწინებს და იყენებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს, რისი დასტურიცაა სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინკლუზიურ მიდგომასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ისგ ჯგუფის ოქმები და შიდა მონიტორინგის დასკვნა.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და კომპლექსური დავალებების მათზე მორგებულად ადაპტირება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, კერძოდ მოსწავლეებისთვის არჩევანის შეთავაზებით ან კონკრეტული აქტივობის მოდიფიცირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომლებშიც შეტანილი აქვთ მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებებიც, ვიზიტის დასრულებამდე სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც გაწერილია აქტივობები დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით.

**მიეცათ რჩევა,** რომ ისე, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. კათედრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხის მიმართ.

**2.1.2.3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ ინკლუზიურ მიდგომებს - შესაბამისია**

4. თვითშეფასების კითხვარში და სხვა დოკუმენტებშიც ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეფასების (როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი) რუბრიკებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შეფასების რუბრიკები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელი. იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ-მაგალითის მიმართ და განმსაღვრელი რუბრიკის შექმნა საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის.

სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ს პედაგოგები იცნობენ და პრაქტიკაში ეფექტურად იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ფორმებს. შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით აფასებენ მოსწავლეებს და აძლევენ რჩევებს. მოსწავლეთა შეფასება ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. პედაგოგებს აქვთ მზაობა პრაქტიკაზე დაყრდნობით კათედრების თანამშრომლობით მეტად დახვეწონ, განავითარონ და სრულყოფილი გახადონ შეფასების ინსტრუმენტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მიეცათ რჩევა,** შეფასების რუბრიკებში ხაზი გაესვას დასამუშავებელ ცნება/ქვეცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს და შესასწავლ საკითხთან და თემასთან შესაბამისობას. კათედრამ წარმოადგინა მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

**2.1.2.4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - შესაბამისია**

5. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას, ყოველი ახალი თემის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს. გაანალიზებული აქვთ გავლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები. სკოლაში პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ ახალი აქტივობების დაგეგმვის დროს.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სასკოლო კურიკულუმი აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპით და ითვალისწინებს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში დამკვიდრებულია წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრების, კლასის დამრიგებლების ანგარიშების წარმოდგენა/ანალიზი, რის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება კურიკულუმის შემუშავების წინარე გამოცდილება და მისი გათვალისწინება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოს შექმნისას. ინტერვიურების პროცესში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ახალი ჩარჩო უფრო მკაფიოა და მარტივია მასში ორიენტირება, როცა გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კათედრას აქვს თემატური გეგმების შევსების გამოცდილებაც და შეძლებენ ყველა განხორციელებული კომპლექსური დავალების შემდეგ, შეავსონ თემატური მატრიცა, სადაც ასახავენ სრულ მოცემულობას შესასწავლ თემასთან მიმართებით.

**2.1.2.5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები,
2. სასკოლო სასწავლო გეგმა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმი,
4. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 კურიკულუმის განხორციელება**

**6.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომ სკოლაში განხორციელებული სასწავლო ფორმალური და არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს აძლევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას. სკოლის მიზანია, მოსწავლე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩამოაყალიბოს თავისუფალ, მოაზროვნე, შემოქმედებით ინდივიდად, შესძინოს ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ინტერვიურების პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გარდა კურიკულუმის ჩარჩო-დოკუმენტების და შეფასების რუბრიკების შექმნისა, აქტიურად თანამშრომლობენ და გეგმავენ საგნობრივ საჭიროებებზე მორგებულ პროექტებს, არაფორმალურ აქტივობებს, რაც მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას მისცემს. სკოლაში ვიზიტზე მყოფ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ადგილზევე ენახათ კათედრების მიერ შესრულებული პროექტები, რომელიც მოცემული იყო გამოფენის სახით.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის კურიკულუმები მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას შეუწყობს ხელს. მოსწავლეებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების საშუალება. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ განახორციელეს პროექტი სახელწოდებით „მე ვკითხულობ, შენ?“ სადაც აქტიურად ჩაერთვნენ მოსწავლეები. მათ სასკოლო სივრცეში სასკოლო საზოგადოებას გააცნეს საკუთარი რჩეული წიგნები. სასკოლო აქტივობებში ჩართულობა კი მოსწავლეების შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განაპირობებს.

კურიკულუმებში შეტანილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, პრაქტიკული მიმართულებით დაგეგმილი ფესტივალები და თეორიული მიმართულებით დაგეგმილი მოსწავლის მიერ შესაქმნელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტები , სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების და ხელშეწყობის მიზნით, კოლეგები ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში თავისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად.კურიკულუმებში გაწერილი მრავალფეროვანი და პრაქტიკული შინაარსის თემატური ბლოკები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწყობს მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის, შემოქმედებით უნარების განვითარებას. ასევე სკოლში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებში, ღონისძიებებში, სასკოლო წრეებში. ეს პროცესები ხელს უწყობს მათი შინაგანი მოტიცაციის გაღვივებას და მაღალი თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას.

**2.2.1.1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას - შესაბამისია.**

2. კათედრას გათავისებული აქვს კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება წინარე გამოცდილებას. მათივე თქმით, მოცემული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლეებს გავახსენოთ შესწავლილი მასალა და ახალი ცოდნა მიებით და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მივაღებინოთ. პედაგოგები ასევე აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რესურსებს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზებაში.

პედაგოგებმა კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ააგეს ჩარჩო კურიკულუმები, რომელიც დაგეგმილია თემატურად, საკითხები თანმიმდევრულია და ორგანიზებულია. სავალდებული თემების ფარგლებში შერჩეული მთავარი საკითხები და კომპლექსური დავალებები ისეა ფორმულირებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში შემოაქვს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. კომპლექსურ დავალებებში წარმოდგენილი სხვადასხვა ქეისებით, სიტუაციური ამოცანებით, მეტაკოგნიტური კითხვებით, რესურსებითა და აქტივობებით შესაძლებელია წინარე ცოდნის გააქტიურება და ახალი ცოდნის კონსტრუირება, რაც მოსწავლეებს ეხმარება ნაცნობ კონტექსტში, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ააგონ ახალი ცოდნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემატურ გეგმაში დეტალურადაა გაწერილი შეკითხვები, რომლებიც თემატური თვალსაზრისით ააქტიურებენ მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებს და მათზე დაშენებით აიგება ახალი ცოდნა.

საკუთარი საგაკვეთილო პრაქტიკის აღწერით ჩანს, რომ, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლე წინარე ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აშენებს ახალს. რაც აადვილებს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლას. პედაგოგს აქვს სამომავლოდაც მზაობა ამ პრინციპით მუშაობის გაგრძელებისა.

**2.2.1.2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით - შესაბამისია**

3. საგნების კურიკულუმში მოცემული შესასწავლ მასალაში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოცემული მასალა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს წამოჭრას პრობლემა, ეძიოს გადაჭრის გზები და წარმოადგინოს ისეთი პროდუქტი, რომელიც მას ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს.

კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია კომპლექსური დავალებების იდეები. პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კომპლექსური დავალებები უნდა განხორციელდეს ისეთი აქტივობებით და სტრატეგიებით, რომ მოსწავლემ შეძლოს დაკვირვება და დაფიქრება იმაზე რა არის უკეთესი მისი პროგრესისავის და საკუთარი შემეცნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი დაგეგმოს. კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად ააგოს ცოდნა, შექმნას კომპლექსური დავალების პროდუქტი და პრეზენტაციის გზით წარმოადგინოს მიღებული ცოდნის გამოყენების ყველა შესაძლო ასპექტი. სკოლას აქვს მზაობა და სწორი ხედვა.

. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისათვის სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებზე, შეფასების მექანიზმებზე ,მაგალითდ თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება . ასევე, წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება. სკოლაში განხორციელებულია პროექტები , რომელშიც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა მათ გამოცდილებაზე, ინტერესებზე, პრობლემის იდენტიფცირებაზე და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს , , მოსწავლეები აფასებენ საკუთარ ნამუშევარს, მსჯელობენ რა გამოუვიდათ კარგად დავალების შესრულებისას, რა გაუჭირდათ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში, საკითხის უკეთ გააზრებაში, წინსვლასა და წარმატებაში. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეების იყენებენ თვითშეფასების და ურთიერშეფასების რუბრიკებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ გეგმებში გაწერილ აქტივობებში, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება და დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. საბაზო საფეხურზე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასწავლო პროცესს ლაიტმოტივად გასდევს განხორციელებული აქტივობების თვითრეფლექსია: რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით? რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - თხზულების შექმნისას? რატომ? - ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნა უწყობს ხელს მოსწავლეებში საკუთარი სწავლების პროცესზე დაკვირვების უნარების განვითარებას.

კომპლექსური დავალებების განხორციელებისას ბუნებრივია, აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიური უნარების ხელშეწყობაზე. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს მოცემული დავალების შესასრულებლად მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. შემდგომ კი ახდენს საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები გამოიყენებენ როგორც გონებრივ, ასევე ემოციურ კომპონენტს. გონებრივ კომპონენტში შემავალი უნარ-ჩვევების გასავითარებლად. მოსწავლეებს შესთავაზებენ ძირითად მასალაზე ხაზგასმას, მთლიანი მასალის დანაწევრებასა და დანაწევრებული მასალის ათვისებას. ემოციური კომპონენტის გასავითარებლად მოსწავლეებს დაეხმარებიან, ისწავლონ შეცდომის დანახვა და გამოსწორება, ის რომ არ ეშინოდეთ შეცდომის დაშვების; ისწავლონ ემოციების კონტროლი. ასევე, წახალისებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, მოსწავლეებს შეთავაზებენ სხვადასხვა აქტივობებს, მაგ. ანალოგიებით სწავლება, როლური თამაშები, აქტივობა „ ვინ ვარ მე“ და სხვა.

**2.2.1.3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - შესაბამისია**

4. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსური დავალებების პირობებში, ურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალების იდეები, კომპლექსური დავალების განხორციელება კი თავის მხრივ მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისაკენ. მან საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას, სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების შერჩევა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას.

მასალების შესწავლისა და ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც - ყოველივე ეს დასტურდება დოკუმენტურად, მათ მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებსა და კურიკულუმებში.

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და წარმოდგენილი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეებში საგნობრივი საკითხების გააზრებას. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების , პროექტული სწავლების გამოცდილება, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებების და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობების განხორციელების გამოცდილება, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილება.

**2.2.1.4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედერული, პირობისეული) - შესაბამისია**

5. წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, პროექტული ტიპის აქტივობებით, ინტეგრირებული გაკვეთილებით, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შექმნაზე და სხვა, რაც მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საშუალებას აძლევს.

წარმოდგენილ კურიკულუმში საწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ინტეგრირება მოხდეს სხვადასხვა საგანთან. ამ მიზნით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ტარდება სხვადასხვა კლუბური მუშაობა. მოსწავლეები მონაწილეობენ კონფერენციებში, ეწყობა ექსკურსიები, მხიარული სტარტები და სხვადასხვა არაფორმალური განათლების აქტივობები, რაც ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირს, მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მნიშვნელოვანია ის კოგნიტური პროცესები, რომელსაც მოსწავლე გაივლის კომპლექსური დავალების შესრულებისას, სადაც მოსწავლე საუბრობს იმაზე, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა ან რას შეცვლიდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები, მოსწავლის საბოლოო პროდუქტის წარდგენა უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის ტრანსფერს. ცოდნის ორგანიზება საბოლოოდ დაეხმარება მოსწავლეებს სკოლაში მიღებული ცოდნა ცხოვრებაშიც გამოიყენონ პრობლემების გასამკლავებლად.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს კომპლექსური დავალებების განხორციელებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც თავად აღნიშნავენ, და მტკიცებულებებშიც დასტურდება, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. შესაბამისად, კომპლექსური ხასიათის დავალება ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთ დაკავშირება - შესაბამისი**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. თვითშეფასების კითხვარი
2. საგნობრივი კურიკულუმები კურიკულუმები
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. თემატური მატრიცები
5. კურიკულუმის შექმნის და განვითარების მეთოდოლოგია

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
8. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
9. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
10. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
11. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
12. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პედაგოგთა მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, სავალდებულო თემებში საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ჩანს სამიზნე ცნებებისა და საკითხების ფორმულირება, განსაზღვრულია სამიზნე ცოდნაზე ორიენტირებული კონტექსტმაგალითები, ჩამოყალიბებულია ნაცნობ კონტექსტზე შექმნილი კომპლექური დავალებები და შერჩეულია მოსწავლისთვის საინტერესო და მიზანზე ორიენტირებული სასწავლო რესურსები. მოსწავლე სხვადასხვა თემაში ამუშავებს ცნებებს, რომელსაც გაითავისებს და განაზოგადებს ცნების მკვიდრი წარმოდგენების სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის, რაც მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სკოლა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული სამიზნე ცნებები /ქვეცნებები , თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებების იდეები, საგნობრივი საკითხები და რესურსები გააზრებულ კავშირშია ერთმანეთთან, რაც წარმოადგენს მთავარ ორიენტირს სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, , რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.

**2.2.2.1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით - შესაბამისია**

7. მოცემული სავალდებულო თემები, თემებში ჩაშლილი საკითები და კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს მრავალფეროვანი ვიდეო-აუდიო მასალის, ცხრილების, სქემების და სხვა ტიპის დავალებების მოსმენას, შესრულებას და პრეზენტირებას, რაც მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების, სხვადასხვა საჭირო პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ უნარებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი სკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო სოციალურ განვითარებისკენ. საგნის კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. პროექტებში ჩართულ მოსწავლეებს უვითარდებათ თანაგანცდის, ემპათიის გრძნობა,რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათები, რომელშიც შერჩეულია ისეთი თემატიკა, რაც აქტუალურია მათი ასაკისთვის და ცნობიერებისთვის.

სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსოქო-სოციალური განვითარების მნიშვნელობას. შესაბამისად მისი თითოეეული აქტივობა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი , არამედ სოციოემოციური სფეროს განვითარებაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწევთ კრიტიკული აზროვნება, დისკუსია, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**2.2.2.2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას - შესაბამისია**

3. პირისპირ გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. სკოლაა აქვს მზაობა შექმნას განმავითარებელი შეფასების ისეთი მოდელი, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მოსწავლეთა მიღწევის დონეების შეფასების მიზნით, მასწავლებლები წლის განმავლობაში ორჯერ ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებებს. სწავლა-სწავლების პროცესში სამომავლოდ (დიფერენცირებული მიდგომების დახვეწის თვლსაზრისით) სკოლა განახორციელებს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა შეფასებისთვის მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. თითოეული მათგანი არის ავთენტური ბუნებისა, ანუ შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, რათა მათ განივითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების შემდეგ ინსტრუმენტებს: 3-2-1, ერთწუთიანი ესე, სიტყვების დახარისხება, გასასვლელი ბარათები, ერთწინადადებიანი შეჯამება , მოთხრობის დაწერა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს აქვთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკა და ამჟამადაც აქტიურად იყენებენ მათ.

მომავალი სასწავლი წლიდან სკოლა მეტად ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კომპლექსურ დავალებებში იქნება ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს თავად იყოს საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მათი მიღწევის დონეების შეფასების მიზნით, მასწავლებლები წლის განმავლობაში ორჯერ ჩაატარებენ დიაგნოსტიკურ ტესტირებებს.

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის და აკადემიური მიღწევების ანალიზი ინსტრუმენტები, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რაც ეხმარება მათ თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში .ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს მექანიზმები რომელიც სრულად იქნება ორიენტირებული მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერაზე.

**2.2.2.3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. შეფასების სისტემაში მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები, მოსწავლეებმა იციან,თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. ისინი თავად ერთვებიან შეფასების დიზაინის შემუშავებაში. მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გაწერილია თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა, აღინიშნა, რომ მომზადდა კიდევ სხვა რუბრიკებიც, რომლებიც კომპლექსური დავალების კრიტერიუმების შესაბამისად გაიწერა და რომლებსაც გააცნობენ მოსწავლეებს, არ გამახვილებულა ყურადღება მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში,

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.

**2.2.2.4.შეფასების სისტემა არის ვალიდური , გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - შესაბამისი**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. ,,სკოლაში არის ხარისხის განვითარების ჯგუფი. პედსაბჭოზე, კათედრებზე ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და განიხილება მოსწავლის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. ხდება ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესს. სამომავლოდ სკოლაში შეიქმნება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - რომელშიც გაიწერება შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა , შედეგები და აისახება სამოქმედო გეგმაში'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლა იყენებს შეფასების მრავალმხრივ სტრატეგიას. ყოველი თავის შემდეგ მასწავლებლები ქმნიან შემაჯამებელი ტიპის ტესტებს, ათანხმებენ მას დირექციასთან, ხოლო ტესტირების შედეგებს ანალიზის სახით წარუდგენენ კათედრას განსახილველად. შეფასების დროს თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაბამისი არგუმენტებით ამყარებს მიღებულ გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან შესაბამის უკუკავშირს. ამ ეტაპზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ კათედრა ჩაატარებს დიაგნოსტიკურ შეფასებას, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი, კერძოდ, კომპლექსური დავალების ანალიზი.

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი აქვთ მოსწავლეთაა აკადემიური მიღწევების შეფასების წესები.

**2.2.2.5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის მატერიალურად ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. ,,სკოლა უზრუნველყოფს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციების დაცვას. მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შენახვის წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს შეფასების სისტემა, რომელშიც განსაზღვრული იქნება კურიკულუმების, მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიუს მიხედვით , სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პედაგოგები მუშაობენ ელექტრონულ ჟურნალში, სადაც ხდება შეფასებების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო წლის ბოლოს, კლასის ხელმძღვანელი ელექტრონული ჟურნალის საფუძველზე ავსებს მოსწავლის პირად საქმეებს და ინახავს კანონმდებლობით დადგენილი ვადით. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.2.6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები
2. შეფასების რუბრიკები
3. მასწავლებლებთან ინტერვიუები
4. ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
5. შემაჯამებლების ანალიზი
6. თვითშეფასების კითხვარისასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. თვითშფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ყველა რგოლი ჩართულია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში. მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობასთან პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა. მასწავლებლები კათედრებზე ესწრებიან გაკვეთილებს და პოზიტიურ უკუკავშირს უბრუნებენ კოლეგებს. სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, რომელიც საჭიროებს დახვეწას და მეტი ინტენსივობით ამოქმედებას. სკოლა ახორციელებს ექსკურსიებს, მუზეუმებში ვიზიტებს და ა.შ.

გასაუბრებიდან და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, განხორციელებული საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებული. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. კათედრის ყველა წევრებმა ერთობლივად შიმუშავეს კურიკულუმები, ერთობლივად დაგეგმეს გაკვეთილები, კოლეგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და რჩევებს. სკოლაში შექმნილია მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე ორიენტირებული პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო.

.სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. სკოლაში არსებობს და მყარადაა შენარჩუნებული საზოგადოების განსხვავებული წევრების მიმღებლობა, განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სსსმ მოსწავლეებზე, რომელთაც სთავაზობენ ადაპტირებულ სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროგრამებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები სადამრიგებლო კლასის საათის ფარგლებში ჩაატარებენ საუბრებს სხვადასხვა თემებზე მაგალითად „როგორ გავერთო ისე,რომ სხვას არ ვავნო“ , „ განსხვავებულობა არ არის პრობლემა“ და სხვა. მასწავლებლების მხრიდან წახალისებული იქნება მოსწავლის ქცევა, როდესაც ის დაეხმარება სხვას, მოეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა სასკოლო სივრცეში. სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის პრიორიტეტები, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შედგენილია საათობრივი ბადე. სკოლას აქვს შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის. სკოლას ჰყავს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები, შესაბამისად ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. კურიკულუმზე მუშაობისას მოხდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება, სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, თანამშრომლობითი ურთიერთობები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დადებითობის,პოზიტიურობის განცდას და ეხმარება მას თავი იგრძნოს სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ხელს უწყობს სკოლაში თანამშრომლობითი და მიმღებლობითი სასწავლო გარემოს შექმნას.

**2.2.3.1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო - შესაბამისია**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული თემატური ბლოკები და შერჩეული საგნობრივი სკითხები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო სოციალურ განვითარებისკენ. საგნის კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას აქვს პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. პროექტებში ჩართულ მოსწავლეებს უვითარდებათ თანაგანცდის, ემპათიის გრძნობა,რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე დადებითად მოქმედებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათები, რომელშიც შერჩეულია ისეთი თემატიკა, რაც აქტუალურია მათი ასაკისთვის და ცნობიერებისთვის.

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სასკოლო პროექტებში ფორმალური თუ არაფორმალური მიმართულებით, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული და უზრუნველყოფს სამომავლოდაც მათში ინტერესის გაღვივებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ სხვადასხვა მიმართულებით შერჩეულია საინტერესო დავალებები, განსაზღვრულია მრავალფეროვანი თემატიკა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი.

გასაუბრებიდან და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები სკოლის სამოქმედო გეგმა, სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები, განხორციელებული საკლასო პროექტები და სხვა აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებზე და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაცია არის უწყვეტი. კათედრის ყველა წევრებმა ერთობლივად შიმუშავეს კურიკულუმები, ერთობლივად დაგეგმეს გაკვეთილები, კოლეგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და რჩევებს. სკოლაში შექმნილია მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე ორიენტირებული პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო.

**2.2.3.2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - შესაბამისი**

3. სკოლა დეტალურად აღწერს ინფორმაციას და ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ღიაობას, მზაობას და სწორად აღებულ გეზს თანამშრომლობითი კულტურის არსებობის და მომავალი განვითარების შესახებ.

სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობის კულტურა. ურთიერთდასწრებებით და კათედრის სხდომებზე განხილვებით ხდება გამოცდილების გაზიარება. საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობით. არაფორმარული აქტივობები იგეგმება ერთობლივად. კათედრები მეტი ინტენსივობით დაგეგმავს ჩაატაროს ინტეგრიტებული გაკვეთილები, ამასთან ერთობლივად დაგეგმავენ და განახორციელებენ პროექტებს.

სასწავლო პროცესის წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია თანამშრომლობითი კულტურისა და გამოცდილი კომუნიკაციის გარეშე. ამ მიზნით სკოლაში ტარდება საგნობრივი კათედრის სხდომები, ხორციელდება გაკვეთილზე ურთიერთდასწრება, სკოლაში არის ხარისხის ჯგუფი, რომელიც ეხმარება კოლეგებს პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებაში, ითვინინგის პროექტში მონაწილეობის მიღების შემდეგ პედაგოგმა სტატიის სახით გაუზიარა თანამშრომლებს გამოცდილება საგაკვეთილო პროცესში Web 2.0. ინსტრუმენტების გამოყენების მნიშვნელობაზე . თითოეულის ძირითადი მიზანია სწავლის ხარისხის გაზრდა, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნა და პრაქტიკაში გამოყენება. 2023-24 სასწავლო წლიდან სკოლის მასწავლებლები განახორციელებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც გულისხმობს საგანთშორისი კავშირების დამყარებას, მაგალითად დაგეგმილია ინტეგრირებული გაკვეთილები ხელოვნებასა და ისტორიაში, უცხო ენასა და გეოგრაფიაში. ქართულისა და ბუნების მასწავლებლები ეკოლოგიური კატასტროფებისა და მოსალოდნელი საფრთხეების გაანალიზების ხელშეწყობის მიზნით გეგმავენ ერთობლივ სასკოლო პროექტს.

კათედრასთან შეხვედრისას ჩანდა, რომ ერთმანეთთან აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორცილების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, სააღმზრდელო საათი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება), ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავენ უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილის და ერთობლივი პროექტების განხორციელებას. გარდა ამისა, აღინიშნა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება. პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას.

**2.2.3.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - შესაბამისია**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია ღიაობა და მიმღებლობა, ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობა მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში ტარდება სადმრიგებლო საათები, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. სკოლაში არსებობს შემეცნებითი სახის კლუბები, წრეები, ხორციელდება პროექტები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი.

სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული გარემო. პედაგოგები მუდმივად თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყონ პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის განვითარებას ხელს უწყობს საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები. მოსწავლეებს მათი უნარებისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგინონ კომპლექსური დავალებები და იყვნენ მეტად თავდაჯერებულები. სსკოლაში დაცულია მოსწავლეთა უფლებები და უსაფრთხოება. სასწავლო პროცესი ნდობასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლას დაგეგმილი აქვს აქტივობები, რომლებიც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. (პროექტები, არაფორმალური აქტივობები). კლასის დონეზე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება თავად აირჩიონ მათთვის სასურველი თემა, დავალების შესრულების ფორმა და დრო.

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას, აღნიშნული დადასტურებულია კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითაც, რომელიც გვიჩვენებს თანამშრომლობითი და პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობას სკოლაში. განხორციელებული და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.

**2.2.3.4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - შესაბამისია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმები
2. მასწავლებლებთან ინტერვიუები
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შაბლონი

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

7. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
8. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
9. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმის და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტები. აღნიშნული დასტურდება ბრძანებებით და შინაარსში იკითხება დოკუმენტთა შექმნაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილე პიროვნებათა ვინაობა. ამ ეტაპზე, როგორც მოსწავლეთა მიღწევები, ასევე, მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხი იზომება კოლეგათა ურთიერთდასწრებით. მიეწოდებათ რჩევა-რეკომენდაციები პოზიტიურ ჭრილში. მონიტორინგის ჯგუფი შეადგენს კითხვარებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის და გაზომავს სკოლის საჭიროებებს. მასწავლებელთა განვითარებისათვის დაგეგმავს მიზანმიმართულ ტრენინგებს.

სკოლა გამოთქვამს მზაობას განახორციელოს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. შემუშავდება ინდიკატორები, რომლებიც გააკონტროლებენ პროცესის მიმდინარეობას, განისაზღვრება მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, განისაზღვრება ვინ იქნება პასუხისმგებელი თითოეული ინდიკატორის მონაცემების შეგროვებაზე, შეიქმნება ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი,თუ რა მონაცემები გაანალიზდება და როგორ იქნება წარმოდგენილი შედეგები, გეგმის ბოლოს კი მოხდება აღწერა, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარების და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლაში აკვირდებიან, თუ როგორ შეძლეს მოსწავლეებმა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია კომპლექსური დავალების ანალიზის ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ გაკვეთილებზე დაკვირვებისა და მოსწავლეებთან ინტერვიუების საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც.

**2.3.1.1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - შესაბამისია**

2. სკოლაში არის მეგობრული გარემო, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას, რეკომენდაციებს, არის ურთიერთდასწრების პრაქტიკა , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას მიმდინარე პროცესების შეფასებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრები, კოლეგები მუდმივად ზრუნავენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის. გაკვეთილებზე დასწრების რეფლექსიებს უზიარებენ კათედრებს და შემდეგ დირექციას. მომდევნო სასწავლო წლისათვის წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით გააუმჯობესებენ მონიტორინგის მექანიზმს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სასკოლო საზოგადოების საჭიროებები სრულფასოვნად იქნება გათვალისწინებული.

სკოლაში შექმნილია განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის დანერგვის შემდეგ წინასწარ შემუშავებული მექანიზმის მიხედვით ახდენს მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმის სასწავლო პროცესში განხორციელების მონიტორინგს, შეფასებას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციას. მასწავლებლები კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ რეფლექსიის, მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და ავლენს ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სკოლა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების დიაგნოსტირებას, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დასკვნის გაკეთება რომ ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოება მხარდაჭერასა და დახმარებაზეა ორიენტირებული;

**2.3.1.2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - შესაბამისია**

3. წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, სკოლაში მიმდინარეობს პრობლემის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ საჭირო დავალებებით პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობა. ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესში შეისწავლეს დიაგნოსტირების ინსტრუმენტები და მომდევნო სასწავლო წელს, კათედრის დონეზე გაიზომება მოსწავლეთა მიღწევები, პრობლემები და მოხდება შესაბამისი დავალებების, აქტივობების შემუშავება პრობლემების აღმოსაფხვრელად.

სკოლა გეგმავს . მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და დასკვნის საფუძველზე, პრევენციისა და ინტერვენციის საშუალებით დასახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის სკოლა გეგმავს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების იდინტიფიცირებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებასა და პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე.

**2.3.1.3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას საშუალებას შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. კურიკულუმი;
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა,
4. სკოლის სასწავლო გეგმა,
5. ბრძანება სკოლის კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ,
6. მასწავლებლებთან ინტერვიუები
7. მასწავლებლის რეფლექსია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას. კომპლექსური დავალებების, პროექტების და არაფორმალური აქტივობების შეფასება ხდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით და შემაჯამებელი და ტესტური დავალებების - განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით.

შეფასების სისტემა მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს შეფასების წყაროების გამრავალფეროვნებას. შეფასების სისტემის დახვეწისას გათვალისწინებულ იქნება ბავშვის ემოციურ–სოციალურ– კოგნიტურ განვითარების პროცესი. სამომავლოდ დაგეგმილია მოსწავლეთა შეფასება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.

. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები , კომპლექსური ბუნების დავალებები მოიაზრებს მოსწავლეების ჰოლისტურ შეფასებას, რაც გულისხმობს მათ მეტაკოგნიტური, პიროვნული, სოციალური უნარების გათვალისწინებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლაში არსებული სასწავლო პროცესის შეფასება ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას გულისხმობს და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალი წყაროს საშუალებით: მასწავლებლის დაკვირვება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირი კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან, თემისგან მიღებული ინფორმაცია. სკოლა გამოხატავს მზაობას და გეგმავს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით შეფასების მექანიზმების შემუშავებას, რომელიც ჰოლისტური შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას მოიაზრებს.

**2.3.2.1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - შესაბამისი**

2. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთა ინტერესი და შესაძლებლობა. შეფასების რუბრიკები კომპლექსურია და ორიენტირდება გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის და აქედან გამომდინარე იქმნება შესაბამისი შეფასების რუბრიკები - ვკითხულობთ თვითშეფასების დოკუმენტებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია რომ სკოლაში შეფასების განხორციელებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა კონტექსტი(მაგალითად: სოციალური ფონი, ენობრივი ბარიერი, ასაკობრივი თავისებურება). სკოლას აქვს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.

**2.3.2.2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით - შესაბამისი**

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების გზად სახელდება დამრიგებლის დაკვირვება ფორმალური და არაფორმალური აქტივობების პროცესში. გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში). იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშაობენ კომპლექსურად. მოსწავლის დაფიქსირებული შედეგის გაუმჯობესების მიზნით, მშობლის მიმართვიანობის შემდეგ, ინიშნება საგნის გამოცდა. სკოლა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომდევნო სასწავლო წელს, გეგმავს შექმნას ფოკუს ჯგუფები სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, აწარმოოს ინტერვიურება და მოქმედება მიმართოს გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

შეფასებისას, მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხდება კათედრებზე, პარალელურ კლასისა და საგანის მასწავლებლებისაგან, სკოლაში დაკვირვების საფუძველზე ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, ამისათვის კლასის დამრიგებლები ქმნიან საგნის მასწავლებლებისთვის გამოკითხვის ბარათებს, რომელშიც უთითებენ მოსწავლემ რა დაძლია კარგად, რა გაურთულდა და რაში სჭირდება დახმარება. ასევე, მონაცემებს აგროვებენ ზეპირი შეფასებით, გაკვეთილზე დაკვირვებით.

,,იმისათვის, რომ 2023-24 სასწავლო წელს მოსწავლე ან კურიკულუმების დანერგვის პროცესი ჰოლისტურად შეფასდეს, სკოლა გამოიყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნება კითხვ არები, ფოკუსირებული დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი, ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი'' - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

. წარმოდგენილი დოკუმენტებით და ასევე ინტერვიუს დროს ირკვევა, მასწავლებლებს და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია სხვადსახვა მეთოდი იყოს გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც ბავშვებთან ისე მშობლებთან, იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განმავითარებელი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, ასევე მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლების და პროექტების საშუალებით და ამაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებელებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის .

**2.3.2.3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები - შესაბამისია**

4. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც.

მოსწავლეთა შეფასება ხორცილდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით . მაგ, რამდენად იყო შესასწავლი საკითხი და სასწავლო პროცესი ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე. რამდენად ეფექტური იყო მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების სტრატეგიები და რესურსები, რამდენად ინკლუზიური იყო სასწავლო გარემო, გათვალისწინებული იყო თუ არა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და დიფერენცირებული სწავლების პრინციპები და როგორი იყო მოსწავლის სოციალურ-ემოციური ფონი.

**2.3.2.4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით - შესაბამისია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. შეფასების რუბრიკები;
3. შემაჯამებელი ოქმი;
4. დამრიგებლის საათი;
5. მასწავლებლებთან ინტერვიუები
6. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი*
7. *თვითშეფასების ფორმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები, აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს მყარ კორელაციას „დაწერილ" და „აღსრულებულ" კურიკულუმებს შორის.

. სკოლას ამ ეტაპზე აქვს გაკვეთილების, კომპლექსური დავალებების, განხორციელებული პროექტების რეფლექსიებზე დაყრდნობით კურიკულუმის გადასინჯვის გამოცდილება. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია როგორ მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი და შეფასება რის საფუძველზეც იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

**2.4.1.1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი - შესაბამისი**

2. ,,2023-24 სასწავლო წლიდან საბაზო საფეხურის მასწავლებლები საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას გააკეთებენ შეფასებას ,რამდენად მიზნობრივად შესრულდა კურიკულუმში გაწერილი აქტივობები და როგორ აისახა იგი მოსწავლის შედეგებზე. მასწავლებლები გააკეთებენ კურიკულუმით დაგეგმილი და რეალიზებული დავალებების ანალიზს/რეფლექსიას, შეაფასებენ სასწავლო რესურსების ეფექტიანობას და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს. საბოლოო ანგარიშს კათედრები წარადგენენ პრეზენტაციის ან მათთვის სასურველი ფორმით პედსაბჭოზე''. - ვკითხულობთ სკოლის თვითშეფასების ფორმაში.

მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები, ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც ასახულია სამომავლოდ როგორ მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად.

**2.4.1.2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს - შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის ჩარჩო,
2. სასკოლო სასწავლო გეგმა,
3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. ინტერვიუ მასწავლებელთან
6. კათედრის ოქმი
7. მასწავლებლის წლიური ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................

თარიღი:

20.11.2023



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: